ᲓᲦᲔᲘᲜᲓᲐᲦᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲔᲑᲐ

ᲙᲐᲠᲚᲘᲡᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲓᲘ!

კომუნისტი

ორგანო ს. ა. ა. ო. (ბ) ცენტრ. და თბილ. კომიტეტების და სახ. დეპ. ინსტიტუტის პარტიული ორგანო

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, სამდივნოსი 10—56, მგ. კონტორის—8—51.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ
22
ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
1933 წ.
№ 268 (3824)

ᲒᲐᲛᲒᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲕᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲖᲔᲚᲘᲐ

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს შორის, ბამბის აღებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში, საქართველოს ყველაზე უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის ცნობით, 19 ნოემბრისათვის დამზადებული იყო: აზერბეიჯანში 102.007 ტონა ბამბა, გეგმის 79,8 პროცენტი, სომხეთში 10.743 ტონა, გეგმის 94,6 პროცენტი და საქართველოში კი 3.964 ტონა — გეგმის მხოლოდ 47,8 პროცენტი.

ყველაზე უფრო ცუდი ისაა, რომ ბამბის აღება და ჩაბარებაში მკვეთრად ჩამორჩებიან საქართველოს ბამბის **ძირითადი** რაიონები. მაგალითად **ბორჩალოს** რაიონს, სადაც მოქცეულია საქართველოში ბამბის მთელი ნათესების ნახევარზე მეტი, შესრულებული აქვს ბამბის ჩაბარების გეგმის მხოლოდ 37,3 პროც. **ყარაიას** რაიონს, რომელსაც ბამბის ნათესი ფართობის რაოდენობის მხრივ რესპუბლიკაში მეორე ადგილი უჭირავს, შესრულებული აქვს გეგმის 49,8 პროცენტი. ამავე დროს კი **სიღნაღის** და **გურჯაანის** რაიონებმა ძირითადათ უკვე დაამთავრეს ბამბის აღება და ჩაბარება, ხოლო ამ რაიონის **კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების დავალებანი.**

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ბორჩალოს რაიონზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ბორჩალოს რაიონში წელს ბამბისათვის ბრძოლა თავიდანვე არ იყო გაშლილი ნამდვილი ბოლშევიკური ტემპებით. ბამბის აღებასა და ჩაბარებაში ჩამორჩენასთან ერთად ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წელს ბორჩალოს რაიონის ზოგიერთ სოფლებში მეტად დაბალია ბამბის მოსავლიანობა.

ადგილობრივი მუშაკები ამას არა ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ხსნიან, მაგრამ ეს რასაკვირველია არ არის სწორი. მთელ რიგ ნაკვეთებზე დაბალი მოსავლიანობის ნამდვილი მიზეზი ბორჩალოს რაიონში უნდა ვეძიოთ **ბამბის ნათესების არა თავის დროზე დამუშავებასა და ცუდ მოვლაში.**

ამას თვალსაჩინოთ ამტკიცებს ბორჩალოს რაიონის ბამბის ნათესების **შედარება** ბამბის ნათესებთან მეზობელ **ლიუქსემბურგის** რაიონში, რომელიც წელს სახელმწიფოს აბარებს პირველხარისხოვან ბამბას, და სადაც ბამბის მოსავლიანობის ნამდვილი მიზეზი ბორჩალოს რაიონისაგან განსხვავებით, ნორმები თითქმის ყველგან გამორჩეულებულია.

ბამბის აღებას ბორჩალოს რაიონში თავიდანვე არ ეწეოდა კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობა, და არც ამჟამად ეწევა. ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ იქ ადგილი აქვს ერთის მხრივ მოუმწიფებელი ბამბის კრეფას, ხოლო მეორეს მხრივ სრულიად მომწიფებულის ბამბის მოკრეფის დაგვიანებას. სოფ. **კაჩაგანიდან** 16 ნოემბერს ბამბის შემსყიდველ პუნქტში მოვიდა ბამბით დატვირთული 9 ურემი. შემოწმებიდან გამოირკვა, რომ კაჩაგანიდან მოტანილი ბამბის სინესტე აღწევს 20 პროცენტამდე, მისი მიღება შეუძლებელია და შემსყიდველი პუნქტი იძულებული შეიქნა მოუმწიფებელი და სველი ბამბა უკანვე გაეტანებინა კაჩაგანის კოლმეურნეობისათვის.

ამავე დროს სოფ. სარვანში, აშალასერალში, ბაიზეთლოში და სხვაგან არის მრავალი შემთხვევა, როდესაც ცალკე ნაკვეთებზე არ სწარმოებს სრულიად მომწიფებული ბამბის კრეფა იმ მოტივით, რომ ბამბა მომწიფებული არ არის მთელ მასივზე, ეს კი იწვევს ბამბის უამრავ დანაკარგებს.

ბამბის აღების და სახელმწიფოსათვის ჩაბარებისათვის არა ოპერატიული ხელმძღვანელობის ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე ყარაიას და საგარეჯოს რაიონებშიც. ამას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს.

რა არის ახლა საჭირო იმისათვის, რომ რაც შეიძლება სასწრაფო წესით გამოვასწოროთ ჩამორჩენა ბამბის ფრონტზე მთელს რესპუბლიკაში?

ამისათვის უპირველესათ ყოველისა საჭიროა **მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობის გამოყვანა ბამბის საკრეფად.** ეს განსაკუთრებით აუცილებელია ბორჩალოსა და ყარაიას რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ აუღებელია ბამბის მოსავლის ნახევარზე მეტი.

აუცილებელია აგრეთვე **ბამბის მინდვრების ყოველდღიური შემოწმება და ბამბის კრეფა შერჩევით, იქ სადაც კოლოფები გაშლილია.** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლოდინი, თუ როდის მომწიფდება ბამბა **მთელ** ნაკვეთში. ვიმეორებთ კრეფა უნდა სწარმოებდეს **ყოველდღიურად შერჩევით,** იმის მიხედვით, თუ რომელ ნაკვეთზე, ან ნაკვეთის რომელ ნაწილშია მომწიფებული ბამბა. ამგვარად უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები იმ შეუფარდებლობის აღმოსაფხვრელად, რომელსაც დღემდე ადგილი აქვს ბამბის მომწიფებასა და კრეფას შორის.

ამასთანავე ბამბის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით პოლიტგანყოფილებებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები **მოუმწიფებელი ბამბის კრეფის აღსაკვეთად.** კოლეუურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს უნდა განუმარტოთ, რომ ყოველად დაუშვებელია მოუმწიფებელი ბამბის მოკრეფა და რომ იგი შემსყიდველი პუნქტებისა და ბამბის ქარხნების მიერ არ იქნება მიღებული.

ბოლო უნდა მოეღოს იმ დემობილიზაციურ განწყობილებას, რომელიც უკანასკნელად შეიქმნა არა ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო. განსაკუთრებით ეხებათ ეს ბორჩალოს და ყარაიას რაიონებს, რომელთაც უკანასკნელ დღეებში წვიმებიან ამინდების დადგომის გამო შეანელეს და აქა-იქ შესწყვიტეს კიდეც ბამბის კრეფა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი კოლოფი ბამბა არ დარჩეს აუღებელი მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა.

ცალკე რაიონებიდან კვლავ მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები არა საკმაო ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას უწევენ ბამბის აღებისა და ჩაბარების გეგმების შესრულებას **ერთპიროვნულ** მეურნეობათა ხაზით. ამის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. სოფლის საბჭოებმა სისტემატიურად უნდა **შეამოწმონ** ბამბის აღების და ჩაბარების დავალებათა შესრულება ერთპიროვნულ მეურნეობათა მერე, მიიღონ მკაცრი ზომები კულაკური ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც საბოტაჟს ეწევიან და არ ასრულებენ ბამბის ჩაბარების მტკიცე დავალებებს და უზრუნველყონ ბამბის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების უკლებლივ შესრულება.

თვითმდინარებისა და დემობილიზაციური განწყობილების აღკვეთით, კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა აქტიობის მობილიზაციით, კულაკური საბოტაჟის გატეხით, ბამბის გეგმების შესახებ ამხ. **ლ. ბერიას** მითითების და **„პრავდას“** მოწოდების განხორციელებით უზრუნველვყოთ ბამბის ფრონტზე არსებული გარღვევების გამოსწორება და მოცემული დავალებების განაღდება ყოველ მიზეზს გარეშე.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲮ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲡᲐᲮ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ, 20 ნოემბერი. ვინაიდან მრავალია შემთხვევა, როცა საკ. კომპარტიის (ბ) წევრებს და კანდიდატებს, რომლებიმაც გაიარეს წმენდა 1929 წელს, არა აქვთ სათანადო აღნიშვნები, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია ავალებს საკ. კ.პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს დაკარგულ ან რაიმე მიზეზით შესწორებულ ბილეთების ნაცვლად ახალი ბილეთების გაცვლის დროს აუცილებლად გაუკეთონ აღნიშვნა პარტიის წმენდის გავლის შესახებ 1929 წელს.

ახალ პარტბილეთზე აღნიშვნა 1929 წლ. წმენდის გავლის შესახებ უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს საკმაოდ შემოწმებულია და ეჭვს არ იწვევს რაიონული პარტიული კომიტეტების მხრივ (ადს).

დიდი ვოლგის პრობლემა

მოსკოვი, 20 ნოემბერი. 19 ნოემბერს მეცნიერთა სახლში საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ—საკავშირო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **კრუჟანოვსკიმ,** მეცნიერ თავის სიტყვაში შეჩერდა დიდი ვოლგის პრობლემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხებზე.

დიდი ვოლგა—ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა გენერალური გეგმისა, რომელიც შეიცავს სამი ხუთწლედის პერიოდს. ვოლგის შეირთება მეზობელ მდინარეთა აბსენიებთან გადატრიალებას მოახდენს მთელს სატრანსპორტო მეურნეობაში. ეს შეერთება საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ პირდაპირი კავშირი ყველა ზღვებთან, რომლებიც აკრავს საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილს.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საირიგაციო სისტემას. პოვოლჟიეს უწყლო სიკაცებს მორწყვის შედეგად ჩვენი ქვეყანა მიიღებს 9 მილიონ ჰექტარზე მეტ ახალ ნათეს ფართობს, რომელიც მოგვცემს 50 მილიონ ცენტნერ ხორბალს.

შეეხო რა დიდი ვოლგის ათვისების ელექტროტექნიკურ პრობლემას, კრუჟანოვსკიმ ვრცლად შეჩერდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ენერგოგაზის შექმნის პერსპექტივებზე, რომელიც ხელსშეუწყობს პოვოლჟიეს ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებას.

ᲑᲐᲛᲒᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 81,8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ.

მოსკოვი, 20 ნოემბერი. 15 ნოემბრამდე საბჭოთა კავშირში დამამზადებელ პუნქტებმა ჩაიბარეს 1.095 ათასი ტონა ძვლი ბამბა—წლიური გეგმის 81,3 პროცენტი. გას. წელს ამავე დროისათვის დამზადებული იყო მხოლოდ 941.642 ტონა ბამბა. წარმატებით გაიმალა ბამბის დამზადება უზბეკისტანში, რომელმაც წლიური გეგმა 90 პროცენტზე მეტით შეასრულა: ჩაბარებულია 723,650 ტონა ბამბა,

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲣᲑᲙᲘᲜᲘ ᲐᲡᲣᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲧᲗᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მოსკოვი, 20 ნოემბერი. დიდი ხანია მეცნიერებს აინტერესებდათ საკითხი: არის თუ არა ნავთი აპშერონის ნახევარკუნძულის მარკვენა ნაპირზე.

უკანასკნელი გამოკვლევებით ლოკბატახში და პუტის ველზე აღმოჩენილი ნავთის მძლავრი საბადოები მოწმობენ, რომ სამხრეთისაკენ ნავთის შემცველი ფენების გაღრმავებითი ლობა სრულიადაც არ კლებულობს.

საკავშირო დეპუტათა საბჭოს თანაშრომელთან საუბარში აკადემიკოსმა გუბკინმა განაცხადა, რომ მეორე ზემძლავრი შადრევანის მოპოვება ლოკბატანში კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ნიადაგი ნავთით მდიდარია თვით ღრმა ფენამდე. უნდა ვიფიქრობთ, რომ გარდა მცირეოდენი ნაწილისა, რომელიც დასპრა ხერელებით, მთელი ლოკბატანი ძლიერ არის გაჟღენთილი ნავთით ყველა თავის ჰორიზონტში.

კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის წიაღი,—განაცხადა გუბკინმა,—შეიცავს ნავთის უდიდეს მარაგს რომლის წარმოდგენა ამჟამად ძნელია. შეიძლება ხოლოდ ითქვას, რა აფშერონის ნახევარ კუნძულზე აღორციელი ნავთის საბადოები წარმოადგენენ მის წიაღში დაფარულ სიმდიდრეთა მცირეოდენ ნაწილს (ადს).

ცნობები ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

№ 3 ᲛᲐᲠᲢᲔᲜᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ

ᲜᲘᲟᲜᲔᲓᲜᲔᲞᲠᲝᲕᲡᲙᲘ, 20 ნოემბერი. ლაბნენტის სახ. ქარხანაში რეკონსტრუქციის შემდეგ ამუშავდა მარტენი № 3. ამავე დღეს მარტენში გამოადნო 58 ტონა ლითონი (ადს).

„ᲖᲐᲙᲝᲠᲝᲛᲨᲢᲐᲚᲘᲡ“ ᲑᲠᲫᲛᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲓᲜᲝᲒᲘ

ᲙᲘᲮᲜᲐᲡᲘ, 20 ნოემბერი. „ზაპოროჟსტალის„ ბრძმედმა უკვე მოგვცა 14 ნადნობი. სულ მიღებულია 550 ტონა უმაღლესი ხარისხის თუჯი (ადს).

ᲫᲔᲠᲟᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲙᲐᲛᲔᲜᲡᲙᲘᲡᲗᲣ, 20 ნოემბერი. გუშინ საღამოთი ძერჟინსკის სახ. ქარხნის საამქრო № 1-ის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური პროგრამა. 10 თვისა და 19 დღის განმავლობაში **გამოდნობილი** იქნა 85.048 ტონა ფოლადი (ადს).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐᲡ

საბჭ. კავშირსა და ჩ.-ა. შეერთ. შტატებს შორის ურთიერთობის აღდგენის ირგვლივ

ურთიერთობის აღდგენით ისახება მოქმედების ფართო პროგრამა

მოსკოვი, 20 ნოემბერი. გაზეთი „ზა ინდუსტრიალიზაციუ“ მთელ თავის ნომრებს უძღვნის ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას, კერძოდ, მეორე გვერდზე მოთავსებულია საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოების მთელ რიგ ხელმძღვანელების საუბრები ამერიკის ინდუსტრიასთან კავშირის შესახებ.

საუბარი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **სერებროვსკისთან ნათესია** და ფერადი ლითონების შესახებ, საუბარი „გლავსტალკო ინსტრუმენტის“ უფროსის მოადგილე ამხ. **სტეპანოვთან,** საუბარი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთან და ენერგეტიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროს ამხ. **ფალემონოვთან,** რეზინის მთავარ სამმართველოს უფროს ამხ. **ბოტკერთან,** „გუტაპის“ უფროსის მოადგილე ამხ. **დიბედთან,** ალიუმინის მთავარ სამმართველოს უფროს ამხ. **ხარიტონენკოსთან**—მთელი ეს მასალა ნათლად მოწმობს იმას, თუ მოქმედების როგორი ფართო პროგრამა ისახება ამერიკისა და საბჭოთა კავშირის წინაშე, ცნობასთან დაკავშირებით.

„დღეს,—ამბობს გაზეთი თავის მოწინავეში,—ჩვენ ვბეჭდავთ ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელი რიგი თალსაჩინო მუშაკების აზრს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებთან დაწესომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ისინი მარტო როდი ამეღავნებენ კმაყოფილების გრძნობებს, რომლებსაც გამოთქვამენ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. ჩვენი სამეურნეო მუშაკების სიტყვებს აქვს სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაც. აქ ლაპარაკობენ უდიდესი საწარმოების ხელმძღვანელები, ინდუსტრიალური გიგანტების მშენებლები, მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ჩვენი საგარეო-საეაჭრო ორგანიზაციების მუშაკები. ბევრ მათგანს კარგად იცნობენ ამერიკის საქმიანი წრეები, იცნობენ ისეთ ადამიანებად, რომლებიც არ არიან მიჩვეული უქმ ლაპობას. საბოლოო შედეგად ჩვენი სამეურნეო მუშაკების ეს განცხადებანი იძლევიან **ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამეურნეო თანამშრომლობის დიდ პროგრამას“..**

„რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია,—ნთქვამია დასასრულ მოწინავეში,—**მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს, როცა ისინი დაადგებიან ორი სისტემის არსებობის და შინაურ საქმეებში ურთიერთ ჩაურევლობის აღიარების გზას, მოახლოებული ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის და მშვიდობიანობისათვის ბრძოლის გზას“.**

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

მოსკოვი, 20 ნოემბერი. **„კრასნაია ზვეზდა“** წერილში ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ, სხვათა შორის, ჩერდება ცომბირის ინტერვენციაზე.

„ინტერვენციის ცომბირის პლაცდარმზე იაპონიასა და ამერიკას შორის თავი იჩინა შეურიგებელმა წინააღმდეგობამ. იაპონიის პირველმა დაიწყო ინტერვენცია, მას სურდა მოეხდინა ინტერვენცია მარტო საკუთარი ჯარებით და მიზნად ისახავდა ციმბირის ხელში ჩაგდებას, ერთ-ერთ მთავარ სტიმულს, რომელიც აიძულებდა ამერიკას გაეგზავნა ჯარი ციმბირში, წარმოადგენდა ის, რომ არ დაეშვა ციმბირის ხელში ჩაგდება იაპონიის მიერ, ვინაიდან ცხადია, რომ ციმბირის ხელში ჩაგდების შემდეგ იაპონია გადაიქცეოდა მას ამერიკის წინააღმდეგ ომის პლაცდარმად, როცა ამერიკის ჯარი იძულებული გახდა წასულიყო ციმბირიდან, ამერიკა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რათა მიაღწიოს იაპონის ჯარის ევაკუაციას. მაგალითად, 1921 წლის 31 მაისის ნოტაში ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები მოაგონებს იაპონიას, რომ

„არც ახლა და არც მომავალში ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს არ შეუძლია დათანხმდეს იაპონიის მთავრობის რაიმე ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს რუსეთის სახელმწიფოებრივ უფლებებსა და პოლიტიკურ ხელუხლებლობას“.

მაგრამ ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომელიც 1921 წელს მოწვეულ იქნა ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მიერ საზეიმო შეიარაღების შემცირების საკითხის და შორეულ-აღმოსავლეთის პრობლემის განსახილველად, რუსეთი არ ყოფილა მიწვეული და მან განსაკუთრებული პროტესტი განაცხადა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხის განხილვის წინააღმდეგ. კონფერენციაზე გამოცხადდა შორეულ აღმოსავლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელმაც ამერიკის სავარეო საქმეთა მინისტრს იუზს გადასცა საპროტესტო მემორანდუმი ციმბირში იაპონელთა თარეშის წინააღმდეგ და მოითხოვა იაპონიის ჯარის ევაკუაცია. კონფერენციაზე ამერიკა ცდილობდა ოათა იაპონიის მოეხდინა ზეგავლენა იაპონია ციმბირის და სახალინზის ევაკუაციაზე. იაპონია იძულებული იყო მიეცა მთელი რიგი დაპირებან ციმბირის ევაკუაციის შესახებ. მაგრამ ციმბირიდან მან გაიწმინდა მხოლოდ წითელი არმიის მედგარი ერიშის შედეგად. ყოველივე ეს ცხადია გარეშეა, რომ ამერიკის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში თუმცა გაურკვეველი იყო, მაგრამ იგი რამდენადმე მაინც ხელს უშლიდა იაპონიის იმპერიალიზმის აშკარა მტაცებლურ მისწრაფებებს“ (ადს).

ჩ.-ა. ᲨᲔᲔᲠᲗ. ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ

ვაშინგტონი, 20 ნოემბერი. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების სავარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა გარვარდის უნივერსიტეტის იურიდიული მეცნიერების პროფესორი **სორინი,** რომელიც უმთავრესად იმუშავებს სავაჭრო ხელშეკრულებების საკითხებზე. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტატიგით, იგი თანამდებობის ასრულებას იწყებს ხელსაყრელ მომენტში, როცა გამომუშავებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებები საბჭოთა კავშირთან (ადს).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲮ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲠᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲠᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲣᲠᲔᲑᲔᲚ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

„თამბაქოს აღების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ დაწესებული გეგმების გადაჭარბებით განხორციელებას და მთავარი ყურადღება მიაქციონ ნედლეულის გაშრობას, დახარისხებას და ჩალაგებას“

(ᲐᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) ᲐᲛ.-ᲙᲐᲕ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ—ᲐᲛᲮ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ)

ᲛᲘᲕᲡᲪᲔᲗ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ 4200 ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ

„საქ. თამბაქოს ნედლეულის“ ცნობით 15 ნოემბრისათვის საქართველოში (აფხაზეთის ა.ს.რ.-ის ჩათვლით) **დამზადებული იყო** 1826,8 ტონა თამბაქო **ანუ წლიური გეგმის 43,5** პროც. ამავე რიცხვისათვის თამბაქოს დამზადების გეგმა შესრულებული იყო 39,6 პროც. მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებში 49,9 პროც. ხოლო კულაკურ შეძლებულ მეურნეობებს მტკიცე დავალება შესრულებული ჰქონდათ 45,6 პროც. (139,6 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარეს 63,2 ტონა)

ცალკე რაიონების მიხედვით გეგმების შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: **ლაგოდეხის რაიონს** სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჰქონდა 659,8 ტონა გეგმის 32,7 პროც. **ყვარელის რაიონს** გეგმა შესრულებული ჰქონდა 62,1 პროც. **ზუგდიდის რაიონს** 49,5 პროც. **წალენჯიხას** — 29,5 პროც. **ჩხოროწყუს** — 28,5 პროც. **ჩოხატაურს** — 42,3 პროცენტით.

თამბაქოს დამზადებაში წინ მიდიან სიღნაღის რაიონი და აჭარისტანი 15 ნოემბრისათვის თამბაქოს დამზადების გეგმა **სიღნაღის რაიონმა 78,3 პროც. შეასრულა.** ამ რაიონის კოლმეურნეობებს გეგმა ანაკრიცხვისათვის 81,9 პროც. ჰქონდათ შესრულებული. **აჭარისტანში** დამზადებული იყო 239,3 ტონა თამბაქო რაც წლიური გეგმის 70,5 პროცენტს შეადგენს. აჭარისტანის კოლმეურნეობებს სახელმწიფო ვალდებულების ანგარიშში ჩაბარებული ჰქონდათ 163,4 ტონა თამბაქო ანუ წლიური გეგმის 79,1 პროცენტი.

ზოგიერთ რაიონებში კულაკური და შეძლებული მეურნეობები განზრახ არ ასრულებენ თამბაქოს ჩაბარების მტკიცე დავალებებს. მაგალითად: 15 ნოემბრისათვის მტკიცე დავალება კულაკურ - შეძლებულ მეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ **ჩხოროწყუს** რაიონში — 13 პროც. **წალენჯიხის რაიონში** 14,7 პროც. და სხვ.

თამბაქოს დამზადებაში განსაკუთრებულ პასუხისმგებლობა **ლაგოდეხის** რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ეკისრება. **ამ რაიონში მიმდინარე წელს უნდა დამზადდეს თამბაქო მთელი რესპუბლიკური გეგმის (გარდა აფხაზეთისა) 47 პროცენტზე მეტი.** ძირითადი დამზადების გეგმის შესრულება აქ კი სხვა რაიონებთან შედარებით ჩამორჩენილია მაგალითად: „საქ. თამბაქოს ნედლეულის“. უკანასკნელი ცნობით ამ რაიონის კოლმეურნეობებს თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდათ 30,3 პროც. ერთპიროვნულ მეურნეობებს 33 პროცენტით.

ამჟამად მწვავედ დგას თამბაქოს ნედლეულის ქარხნებამდე გადაზიდვის საკითხი. **იმის გამო, რომ კი ნის გზა თავის დროზე ვერ აწვდის ვაგონებს საკმაო რაოდენობით, სადგურ წნორზე დაგროვილია თამბაქოს დიდი რაოდენობა, რომელიც აწყვია ღია ცის ქვეშ.** ეს მდგომარეობა საგრძნობლად შეაფერხებს ქარხნების ნორმალურ მუშაობას და გააუარესებს დამზადებული თამბაქოს ხარისხსაც, თუ დაჩქარებით არ იქნა მიღებული ზომები მის გამოსასწორებლად.

მიმდინარე წელს არის ყოველგვარი პირობები, რომ თამბაქოს დამზადების გეგმები ვადაზე იქნას შესრულებული. **სახელმწიფომ ვადაზე შეასრულა მეთამბაქოებთან დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი.** თამბაქოს პლანტატორების მოსამარაგებლად უკვე გაგზავნილია ადგილებზე 250.000 ფუთზე მეტი ხორბლეული და აგრეთვე სამრეწველო საქონელის საგრძნობი რაოდენობა. **მეთამბაქოე კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები ვალდებულნი არიან ასევე პირნათლად შეასრულონ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი კარგი ხარისხის თამბაქოს ჩაბარებაზე.**

მეთამბაქოობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, და სამ. - სატრ. სადგურის **პოლიტგანყოფილებებმა** გადაჭრით უნდა გაავლიერონ ბრძოლა კულაკური საბოტაჟის წინააღმდეგ. მათ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის —ამხ. **ლ. ბერიას** მიმართვის რეალიზაციის შედეგად, ისე უნდა დაიყენონ მუშაობა, რომ **„თამბაქოს აღების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, მიაღწიონ დაწესებული გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და მთავარი ყურადღება მიაქციონ ნედლეულის გაშრობას, დახარისხებას

კონკურსი საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე

გუშქსის ფვის შემთხვევების საშუალებით ადმოფხვრისათვის

მოვამზადოთ საზამთროდ სავაგონო დეპოები

გარდატეხა მოხდა, მაგრამ არასაკმარო
(კონკურსის ჟიურის ცნობები ოქტომბრისათვის)

გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივით გამოცხადებულმა ხაგზაო კონკურსმა საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე, რომელიც მიმდინარეობს 1 ოქტომბრიდან 1934 წლის 1 იანვრამდე, გამოიღო გარკვეული ნაყოფი: შემცირდა გზაზე ბუქსის ფვის მიზეზით ვაგონების ახსნის შემთხვევები.

აი კონკურსის პირველი თვის შედეგები ჟიურის ცნობების მიხედვით; თუ აგვისტოში გზაზე ადგილი ჰქონდა ბუქსის ფვის მიზეზით ვაგონის ახსნის 781 შემთხვევას და სექტემბერში 463 შემთხვევას, ოქტომბერში ეს ციფრი 242-დე შემცირდა. ცალკე დეპოებში შემდეგი მდგომარეობაა:

ბათომის უბანზე აგვისტოში ადგილ ჰქონდა ვაგონების ახსნის 7 შემთხვევას, სექტემბერშიც ამდენს, და ოქტომბერში სამს; **სამტრედიის** უბანზე იყო აგვისტოში — 93, სექტემბერში — 47 და ოქტომბერში— 20 შემთხვევა. **შორაპნის** უბანზე — აგვისტოში — 66, სექტემბერში—21 და ოქტომბერში — 41; **ხაშურის** უბანზე — აგვისტოში — 38, სექტემბერში — 7 და ოქტომბერში — 4; **ტფილისის** უბანზე — აგვისტოში —120, სექტემბერში — 34 და ოქტომბერში — 31; **განჯის** უბანზე— აგვისტოში — 159, სექტემბერში — 113 და ოქტომბერში — 38; **ბალაჯარის** უბანზე — აგვისტოში—201, სექტემბერში — 177 და ოქტომბერში — 67; **ბაქოს** უბანზე — აგვისტოში — 59, სექტემბერში — 33 და ოქტომბერში — 54; **ლენინაკანის** უბანზე — აგვისტოში — 38, სექტემბერში — 24 და ოქტომბერში — 10.

ასეთ სურათს იძლევა კონკურსის პირველი თვე. აქ აღებულია მხოლოდ ბუქსების ფვის ის შემთხვევები, რომელიც გამოწვეული იყო უშუალოდ მზეთავების მიზეზით.

ეს ციფრები მოწმობს, რომ გარკვეული გარდატეხა მზეთავების მუშაობაში მიღწეულია, მაგრამ ამოცანა, რომელსაც კონკურსი ისახავს — „ბუქსის ფვის არცერთი შემთხვევა მზეთავის მიზეზით“ — განხორციელებული ჯერ კიდევ არ არის.

ზემოდმოყვანილი ციფრები მოწმობენ, რომ ზოგიერთ სავაგონო დეპოს მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა სათანადო გარდატეხა, მათ ჯერ კიდევ არ გაუშლიათ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა იმისათვის, რომ სავსებით აღმოფხვრან ბუქსების ფვის შემთხვევები.

ავიღოთ **ბათომის სავაგონო დეპო.** მუშაობისათვის მას ყველა პირობები მოეპოება, მისი მზეთავების შტატი ძირითადად სახალხო მატარებლებს ემსახურება, მზეთავების მცირე ნაწილი მუშაობს საკარიერო მუშა - მატარებლებზე. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია ბუქსების შენახვა იდეალურ მდგომარეობაში. სახალხო მატარებლების ბუქსები დახურული ტიპისაა და მათი მოვლა არც ისე ძნელია. ერთადერთი სერიოზული სამუშაო; ბათომელ მზეთავებს მუშა - მატარებლებზე აქვთ, კარიერებიდან ბალასტის გამოტანის დროს; მაგრამ თუ მზედელობაში მივიღებთ იმას, რომ, ეს მატარებლები დიდ ხანს დგანან დატვირთვა - განტვირთვის ქვეშ, დავრწმუნდებით, რომ შეიძლება მათი ბუქსების სამაგალითოდ შენახვა; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, ბათომის სავაგონო დეპოს მომსახურეობის უბანი მცირეა (ბათომი—სამტრედია და ოზურგეთის შტო), ცხადი გახდება, რომ დანარჩენ დეპოებთან შედარებით მას მუშაობის ყველაზე უკეთესი პირობები აქვს. მაგრამ ის ამ პირობებს ვერ იყენებს.

ბათომის შემდეგ აღსანიშნავია **ხაშურის სავაგონო უბანი** (ხაშური, ზესტაფონი და ბორჯომის შტო). აქაც მოიპოება პირობები საუკეთესო მუშაობისათვის, მაგრამ უბნის ხელმძღვანელები სუსტობენ. ხაშურის დეპოს, ნაგორსკის ტიპის მზეთავ ამხ. **წვერიანაშვილთან** ერთად ყავს ასეთი მზეთავებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ თავიანთი უდიდესი როლი ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეში და არ იბრძვიან მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის. ამით აიხსნება, რომ ოქტომბერში ხაშურის უბანზე ბუქსის ფვის გამო 4 ვაგონი აიხსნა.

მაგრამ ყველაზე ცუდი მდგომარეობა, **ბაქოსა და ბალაჯარის სავაგონო უბნებზეა. ბაქოს უბანზე,** სადაც აგვისტოში მზეთავების მიზეზით 59 ვაგონი აიხსნა, სექტემბერში ეს ციფრი 33-დე შემცირდა; იმის ნაცვლად, რომ ოქტომბერში იგი კიდევ უფრო შემცირებულიყო, გაიზარდა 54-დე. არადამკმაყოფილებელი მდგომარეობაა **ბალაჯარის** უბანზე, სადაც ოქტომბერში მზეთავების მიზეზით 67 ვაგონი აიხსნა.

ასევე სამარცხვინოდ განაგრძობს მუშაობას **შორაპნის სავაგონო უბანი,** რომელმაც ბუქსების ფვის შემთხვევები კონკურსის გამოცხადების შემდეგ არამც თუ არ აღმოფხვრა, არამედ სექტემბერთან შედარებით 20-თ გაადიდა.

განსაკუთრებით ამ სამ უბანზე აშკარა სავანგაშო მდგომარეობას აქვს ადგილი. გამოყენებული უნდა იქნეს ყოველგვარი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ბაქოს, ბალაჯარის, და შორაპნის სავაგონო დეპოებმა სამარცხვინო გარღვევას თავი დააღწიონ.

დანარჩენ **სამ** დეპოს (ტფილისი, განჯა, ლენინაკანი) მუშაობას ემჩნევა გაუმჯობესება. ბუქსების ფვის შემთხვევები მზეთავების მიზეზით კლებულობს. ეს კურსი ბოლომდე უნდა გაგრძელდეს, რომ მიღწეული იქნას ბუქსის ფვის შემთხვევების სავსებით აღმოფხვრა.

დასასრულ ზოგიერთი შენიშვნა: საგზაო საკონკურსო ჟიურიში ცნობების წარმოდგენის შესახებ. ეს საქმე ძალზე მოიკოჭლებს; სავაგონო დეპოები ცუდად გზავნიან საკონტროლო ცნობებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩება **ბაქოს** და **ბალაჯარის** დეპოები. უკვე ნოემბერი მთავრდება და ჟიურის აქამდე არ მოეპოება თვის პირველ დეკადის ცნობები; დეპოებმა ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ. მიღწეული უნდა იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ ყოველი თვის დამლევისათვის ჟიურის მოეპოებოდეს საჭირო ცნობები, რათა შესაძლებელი გახდეს თვიური მუშაობის ანალიზის გა-

შორაპანი. დამკვრელი მზეთავი კომკავშირელი ამხ. ივ. ბაჩეჩილაძე

კეთება და სათანადო მითითებების მიცემა. სავაგონო დეპოებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი მუშაობის შეფასების დროს ეს მომენტი მხედველობაში იქნება მიღებული.

კონკურსის პერიოდში გაიზარდა მზეთავების გამომუშავება. თუ მე-3 კვარტალში მზეთავის საშუალოთვიური გარბენა გზაზე უდრიდა 1841 კილომეტრს, ოქტომბერში იგი გაიზარდა 1908 კილომეტრამდე. ამას ხელი შეუწყო ხელფასის ახალი სისტემის გატარებამ, რამაც გამოიწვია მზეთავის ხელფასის გადიდება; ასე; მაგალითად, თუ მე-2 კვარტალში მზეთავის საშუალო - თვიური ხელფასი გზაზე უდრიდა 122 მანეთს და 11 კაპეიკს, ოქტომბერში იგი გაიზარდა 182 მანეთსა და 20 კაპეიკამდე.

ამგვარად მატერიალური პირობებიც ხელს უწყობს მზეთავების მუშაობის გაუმჯობესებას. საჭიროა მხოლოდ, რომ მზეთავები (და სავაგონო დეპოების სხვა მუშაკები) კიდევ უფრო მეტის ენერგიით მოეკიდონ საქმეს და გააძლიერონ ბრძოლა კონკურსის პირობების ბოლომდის შესრულებისათვის.

ᲨᲙᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲓᲔᲙᲝ

ზესტაფონის სავაგონო დეპოს უფროსი ყოფილა, პირველი შეკითხვისთანავე აცხადებს რომ დეპოში ყველაფერი თავის რიგზეა. „ბიჭი ვარ, ბიჭი; მიწუნებდით, მაგრამ ხომ ხედავთ, ქვეყანას რომ არ მოსწრებია იმას ვაკეთებდი“. საკვირველია, რაში სჭირდება ყოფილს ასეთი სიტყვები მაშინ, როდესაც მას არ უწერწერია ვაგონების შესაკეთებელი შენობით. ზამთრის პერიოდში დეპოს უწერწერელსაყოფად. დეპოს შენობის სახურავში წვიმა ჩამოდის; ამის გამო ამჟამად დეპო დაკეტილია და მუშებს ვაგონების შეკეთება უხდებათ ღია ცის ქვეშ.

დეპოში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. 80 პროცენტი მუშებისა სამუშაოზე აგვიანებენ იმის გამო, რომ არა აქვთ ბინები და დაიარებიან 5—6 კილომეტრიდან. 45 მუშიდან **ბინით უზრუნველყოფილია მხოლოდ ერთი მუშა, დანარჩენი 44 მუშა კი უბინაოთაა.** ეს ხელს უწყობს მუშათა დენადობას.

შეკითხვაზე, თუ რატომ არ აწარმოებენ სამუშაოზე დამგვიანებელთა აღრიცხვას, დეპოს უფროსი პასუხობს:

— შორს ცხოვრობენ, 6—7 კილომეტრზე ფეხით დადიან, დაგვიანებისათვის რა საბირო აღრიცხვა, ან რაიმე ზომების მიღებაო. ასეთი „ხელმძღვანელობით“ დეპოს საქმე, რასაკვირველია, წინ ვერ წავა. ზესტაფონის სავაგონო დეპო არ არის უზრუნველყოფილი სათადარიგო ნაწილებით, (საბუფერო თეფშები, ფარკოფილები, ლურსმანი, ყუსტი და სხვა)

გარდა ამისა, სავაგონო დეპოში ადგილი აქვს ვაგონების უხეირო შეკეთებას; მაგალითად მუშები — **ლეჟიძე და ბოჭორიძე** შენიშნული არიან სისტემატიური განმეორებით რემონტში. სამკუთხედმა ისინი გამოიყვანა დაწკრელთა სიდან და ამით დაკმაყოფილდა. მათთვის არავის არ მიუთითებია, რომ ჩაუბან ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეში და აბრძოლონ ტექნიკის ოსუფლებისათვის.

სუსტია წარმოებაში კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი მაგ.: **ბარბაძეძემ** (კომკავშირელია) უმიზეზოთ გააცდინა სამი დღე. დავალებებს გაურბიან და განკარგულებებს არ ასრულებენ შემდეგი კომუნისტები: **ა. ფოცხვერაშვილი, მ. თავბერიძე, კუპატაძე** და **ბ. ბაჩეჩილაძე.**

ზესტაფონის სავაგონო დეპოს ხელმძღვანელობამ უნდა აიღოს ბოლშევიკური ტემპები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაიმახსოვრებენ მოწინავე რკინიგზელთა ზიზღს და გაკიცხვას.

ბ. სიხარულიძე.

ანდრეევის გრძანება წყალმიწოდების შესახებ
გზათა სახ. კომისრის გრძანება

მოსკოვი, 17 ნოემბერი. „პრავდას“ დაჰკვრელთა რიგიდა შეამოწმა ზამთრისათვის წყალმიწოდების ქსელის მომზადება და მისი მდგომარეობა სხვადასხვა გზის სადგურებში.

გამოაშკარავდა გზების ადმინისტრაციის უმსგავსო დამოკიდებულება წყალმიწოდების ქსელის შეუფერხებელ მუშაობისათვის მზადებისადმი შემდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის მეტად პასუხსაგებ დროს და წყალ მიწოდების საქმისათვის კონტროლის გაუწევლობა საორთქლმავლო მეურნეობის გენერალურ სამმართველოს მხრივ.

ამის გამო ვბრძანებ:

1. გადაეცეს ტრანსპორტის პროკურატურას მასალები, რათა სასამართლო პასუხისგებაში იქნან მიცემულნი წევის დარგის ცენტრალურ სამმართველოს წყალმიწოდების ყოფილი უფროსი მიხელსონი და ოსკოვ-კურსკის გზის წყალმიწოდების უფროსი კუნცოჩი—წყალმიწოდების ქსელის მუშაობისადმი დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულებისათვის.

2. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საორთქლმავლო მეურნეობის ცენტრალურ სამმართველოს წყალმიწოდების უფროსს გროსბერგს საზამთროდ გზების წყალმიწოდების ქსელის მზადებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის, რაც გამოიხატა გზების დარგების მიერ წარმოებული მუშაობისათვის კონტროლის გაუწევლობაში.

3. შენიშვნა მიეცეს მოსკოვ-კურსკის გზის უფროსს პეტროკოვსკის ხელმძღვანელობის გაუწევლობისა და გზაზე წყალმიწოდების საქმის უპატრონო მდგომარეობისათვის.

4. მიეთითოს საორთქლმავლო მეურნეობის ცენტრალურ სამმართველოს უფროსს შიშკოვს მისდამი დაქვემდებარებულ წყალმიწოდების სექტორის უმოქმედობაზე ზამთრისათვის რკინის გზების წყალმიწოდების ქსელის მომზადების საქმეში.

5. გზების ყველა უფროსმა პირადი პასუხისმგებლობით 1933 წლის 25 ნოემბრამდე მთლიანად მოათავონ წყალმწევი და წყალსაწევი შენობების, მიდრავლიკური კოლონების და ჭების შეთბუნების საქმე და ხრულ წესრიგში მოიყვანონ წყალმიწოდების ყველა ხელსაწყო.

6. ამხ. შიშკოვმა და პირადი პასუხისმგებლობით გროსბერგმა გულდასმით შეამოწმონ წინა მუხლის შესრულება.

7. გზათა უფროსებმა პირადად გამოაკვლიონ რეიდის მასალებში მოყვანილი ფაქტები (იხ. „პრავდას“ 8 ნოემბრის ნომერი) და დამნაშავეთ უსასტიკესი სასჯელი დაადონ.

8. გზათა უფროსებმა 1 დეკემბერს მოახსენონ გზათა სახალხო კომისარიატს ამ განკარგულების შესრულება და წყალმიწოდების ქსელის შეუფასებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები.

გზათა სახ. კომისარი ანდრეევი.

მექვსე უბანი კარგად მუშაობს

ამიერ - კავკასიის რკინის გზის მექვსე უბანმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა. მეორე და მესამე კვარტალში მიღწევები კიდევ უფრო განმტკიცდა, უბანი აქტიურად ჩაება საგზაო კონკურსში და გაიჩალა ბრძოლა პირველობისათვის.

უბნის ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება მიაქცია განძელების გამოცვლის ამხ. **კაცურის** მეთოდის გამოყენებას; ამ მეთოდის დანერგვის მიზნით, ჩატარდა საუბრები მუშებს შორის. კაცურის მეთოდის გატარება იძლევა დიდ ეკონომიას. მაგ. თუ რვა საათის განმავლობაში ჩვეულებრივად მუშა ცვლის მხოლოდ 8 განძეულს, კეცურის მეთოდის გამოყენებით იმავე დროის განმავლობაში შეიძლება 12 განძის გამოცვლა.

წინად სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ლიანდაგის მზომ **ურიკას** დანიშნულებისამებრ გამოყენებას. გზის ოსტატები ძველი წესით ხელათა და თვალით სინჯავდენ ხაზის მდგომარეობას, ზოგჯერ მთლიანად ხაზის შემოწმებას ვერ ასწრებდენ, რასაც თან სდევდა ხშირი ავარიები და შემადგენლობის ჩავარდნა.

ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ხაზის შემოწმება ურიკათი. მე- 6 უბანმა ურიკას გამოყენება დაიწყო საგზაო კონკურსში ჩაბმის შემდეგ. ურიკა იძლევა ხაზის მდგომარეობის მთლიან სურათს და მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში ზომების მიღება ხდება სწრაფად. წინად რკინის გზის ხაზი ამ უბანში არა საიმედო მდგომარეობაში იყო, ლიანდაგი დაფარული იყო ტალახითა და მიწით. ამის გამო მატარებლების მოძრაობის სისწრაფე ნორმაზე საგრძნობლად ნაკლები იყო, ეს კი იწვევდა ტვირთზიდვის გეგმების ჩაშლას. ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. რკ. გზის ხაზი ტფილისიდან ქარელამდე მე-6 უბანი გაწმენდილია, მატარებლების მიმოსვლის ნორმალური სიჩქარე უზრუნველყოფილია.

ბევრ უბანში ბალასტი — **რკინის** გზისათვის ძვირფასი მასალა, ზოგჯერ გამოუყენებელია. მექვსე უბანმა ბალასტის გადაზიდვის მესამე კვარტალის გეგმა წარმატებით შეას რულა და ბალასტიც დანიშნულებისამებრ გამოიყენა.

უბანი მზად არის თოვლთან საბრძოლველად. შეკეთებულია და მზად არის 5.000 ძველი და 1.500 ახალი თოვლის ფარი, შევსებულია ხაზის შემკეთებელი ბრიგადაც.

მოძრავ, შემკეთებელ ბრიგადაში ამ უბანზე წინად მხოლოდ 22 კაცი იყო, ამჟამად კი ბრიგადაში 100 კვალიფიკაციური მუშაა. დამატებით საჭიროა კიდევ 50 მუშა, რათა საჭიროების შემთხვევაში ხაზის კაპიტალური რემონტის გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულება.

ინჟენერ - ტექნიკოსთა სექციის ინიციატივით მე-6 უბანში (ხაშურ) ჩამოყალიბდა ტექნინიმუმის შემსწავლელი 14 წრე, რომელშიაც ჩაბმულია 200-დე მუშა. წრეებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი ინჟენერები და ტექნიკოსები.

შრომის დისციპლინის განმტკიცების, საბოტაჟ-ინიციატივისა და დეზორგანიზატორების გამომჟღავნებისა და გზადახ მათი განდევნისათვის **პოლიტგანყოფილების** ხელმძღვანელობით უბანში გაჩაღდა ფართო ბრძოლა. როგორც სიმოლიანტები და ტრანსპორტის დეზორგანიზატორები სამუშაოდან მოიხსნენ გზის ოსტატები **ასლანიანცი, ნოზაძე** (ბრიგადირი), **ჭორიძე** და **ტურაშვილი.**

ამიერ - კავკასიის რკინის გზის მექვსე უბანს ჰყავს მოწინავე დამკვრელი ინჟენერ - ტექნიკოსები, რომლებიც იძლევიან მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს. ამხ. **ლ. ბუაჩიძე** წინად მუშაობდა გზის მეორე რაიონის სალიანდაგო დარგის უფროსის მოადგილეთ; პარტიის და ხელისუფლების დადგენილების ეამოქმედებამ მუშებს ბევრი რაიონის სალიანდაგო დარგის უფროსის მოადგილეთ; პარტიის და ხელისუფლების დადგენილების ეამოქმედებამ მუშებს ბევრი ცვლის მხოლოდ 8 განძეულს, კეცურის მეთოდის გამოყენებით იმავე დროის განმავლობაში შეიძლება 12 განძის გამოცვლა.

წინად სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ლიანდაგის მზომ **ურიკას** დანიშნულებისამებრ გამოყენებას. გზის ოსტატები ძველი წესით ხელათა და თვალით სინჯავდენ ხაზის მდგომარეობას, ზოგჯერ მთლიანად ხაზის შემოწმებას ვერ ასწრებდენ, რასაც თან სდევდა ხშირი ავარიები და შემადგენლობის ჩავარდნა.

ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ხაზის შემოწმება ურიკათი. მე- 6 უბანმა ურიკას გამოყენება დაიწყო საგზაო კონკურსში ჩაბმის შემდეგ. ურიკა იძლევა ხაზის მდგომარეობის მთლიან სურათს და მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში ზომების მიღება ხდება სწრაფად. წინად რკინის გზის ხაზი ამ უბანში არა საიმედო მდგომარეობაში იყო, ლიანდაგი დაფარული იყო ტალახითა და მიწით. ამის გამო მატარებლების მოძრაობის სისწრაფე ნორმაზე საგრძნობლად ნაკლები იყო, ეს კი იწვევდა ტვირთზიდვის გეგმების ჩაშლას. ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია.

რკ. გზის ხაზი ტფილისიდან ქარელამდე მე-6 უბანი გაწმენდილია, მატარებლების მიმოსვლის ნორმალური სიჩქარე უზრუნველყოფილია.

ბევრ უბანში ბალასტი — **რკინის** გზისათვის ძვირფასი მასალა, ზოგჯერ გამოუყენებელია. მექვსე უბანმა ბალასტის გადაზიდვის მესამე კვარტალის გეგმა წარმატებით შეას რულა და ბალასტიც დანიშნულებისამებრ გამოიყენა.

უბანი მზად არის თოვლთან საბრძოლველად. შეკეთებულია და მზად არის 5.000 ძველი და 1.500 ახალი თოვლის ფარი, შევსებულია ხაზის შემკეთებელი ბრიგადაც.

მოძრავ, შემკეთებელ ბრიგადაში ამ უბანზე წინად მხოლოდ 22 კაცი იყო, ამჟამად კი ბრიგადაში 100 კვალიფიკაციური მუშაა. დამატებით საჭიროა კიდევ 50 მუშა, რათა საჭიროების შემთხვევაში ხაზის კაპიტალური რემონტის გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულება.

ინჟენერ - ტექნიკოსთა სექციის ინიციატივით მე-6 უბანში (ხაშურ) ჩამოყალიბდა ტექნინიმუმის შემსწავლელი 14 წრე, რომელშიაც ჩაბმულია 200-დე მუშა. წრეებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი ინჟენერები და ტექნიკოსები.

შრომის დისციპლინის განმტკიცების, საბოტაჟ-ინიციატივისა და დეზორგანიზატორების გამომჟღავნებისა და გზადახ მათი განდევნისათვის **პოლიტგანყოფილების** ხელმძღვანელობით უბანში გაჩაღდა ფართო ბრძოლა. როგორც სიმოლიანტები და ტრანსპორტის დეზორგანიზატორები სამუშაოდან მოიხსნენ გზის ოსტატები **ასლანიანცი, ნოზაძე** (ბრიგადირი), **ჭორიძე** და **ტურაშვილი.**

ამიერ - კავკასიის რკინის გზის მექვსე უბანს ჰყავს მოწინავე დამკვრელი ინჟენერ - ტექნიკოსები, რომლებიც იძლევიან მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს. ამხ. **ლ. ბუაჩიძე** წინად მუშაობდა გზის მეორე რაიონის სალიანდაგო დარგის უფროსის მოადგილეთ; პარტიის და ხელისუფლების დადგენილების ეამოქმედებამ მუშებს ბევრი



შორაპანი. დამკვრელი მზეთავი —კომკავშირელი ამხ. დ. ძვენაკიძე

მასწავლებლებო და მოსწავლენო!
იბრძოლეთ სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის

მიბაძეთ მე-8 პოლიტექნიკურ ათწლედს
(ოქრჯონიკიძის რაიონი)

ტფილისის მე-8 პოლიტექნიკური ათწლედი, რომელიც აერთიანებს 889 მოწაფეს, სასწავლო წლის დასაწყისს მომზადებულად შეხვდა. პედსაბჭომ დროულად განიხილა ახალი სასწავლო წლის საწარმოო გეგმის შედგენის, მოწაფეთა თვითორგანიზაციის, მშრომელთა დამხმარე საბჭოს ჩამოყალიბების, სახელმძღვანელოებით სკოლის უზრუნველყოფის და შრომის დისციპლინის საკითხები.

საქ. განათლების კომისარიატის, გაზ. „კომუნისტის“-ს, საქართველოს ა.ლკ. კომკავშირის ცეკას და საქ. განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ც. გამგეობის მიერ მოწყობილმა კონკურსმა კიდევ უფრო აამაღლა ამ სკოლაში სწავლების ხარისხი.

მე-8 პოლიტექნიკურ 10 წლედში მახწავლებელთა მეთოდური კვალიფიკაციის აწევის მიზნით ჩამოყალიბდა ხუთი ბრიგადა: ფიზიკა-მათემატიკურის, ქართული და რუსული ენის, საზოგადოგამომეცნიერების, ბუნებისმეტყველების, ქიმიის და პოლიტექნიზაციის.

პოლიტექნიზაციის ნამდვილად გატარების მიზნით სკოლას ხელშეკრულება აქვს დადებული კალინინის სახელობის ქარხანასთან. ამ ქარხანაში მოსწავლეები ღებულობენ საწარმოო პრაქტიკას.

მე-8 პოლიტექნიკური 10-წლედი საშეფოდ ყავს აყვანილი „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობას, რომლის მზრუნველობაც ამ სკოლაზე მისაბაძია. „საქ. ჩაის“ ოქტომბრის რევოლუციის ზეიმთან დაკავშირებით სკოლას აჩუქა 300 მანეთი ფულათ და ტიროს ფარდები სასკოლო კლუბის სცენისათვის, 300 მანეთის ღირებული სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოები და ტანისამოსი 40 მოწაფე პიონერისათვის.

მასწავლებლები: გ. გეგეჭკორი, ა. თათუბაშვილი და ლ. შენგელაია დისციპლინის და დამკვრელობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. მათ კონკურსთან დაკავშირებით თავი გამოაცხადეს დამკვრელად და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ამ სკოლის ყველა მასწავლებელი.

ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის გამოცდილების გაზიარების და დახმარების გაწევის მიზნით ხსენებული პედაგოგები ხელმძღვანელობენ ახალ მასწავლებლებს.

კონკურსმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოსწავლეებშიაც. მათ კონკურსის პირობები დაამუშავეს მოწაფეთა გაერთიანებულ კრებებზე. აკადემიურად ძლიერი მოწაფეები მიმაგრებული იქნა სუსტ მოწაფეებზე. ფართოდ გაშალეს შრომის სოციალისტური მეთოდები: სოციშეჯიბრება, დამკვრელობა და ბუქსირი. დახახეს მთელი რიგი ღონისძიებანი მოწაფეთა შორის დის ციპლინის განმტკიცებისათვის, „არც ერთი გაცდენა, წესრიგის დარღვევა და სწავლაში ჩამორჩენა“—ასეთია მოსწავლეთა ლოზუნგი.

აკადემიურ წარმატებასა და დისციპლინის განმტკიცებაში ამ სკოლაში სამაგალითოდ გამოირჩევა მოსწავლეები: თინა ახვლედიანი, ცაცა მათუზოვი და კორნელი. მათ უნდა მიბაძონ სხვა მოწაფეებმაც.

მე-8 პოლიტექნიკურმა 10 წლედმა კონკურსით დასახულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ტფილისის მე-15-ტე ათწლედი.

გრ. ორახელაშვილი.

ვიბრძვით კონკურსში გამარჯვებისათვის
(მშ-29 სკოლა, ლენინის რაიონი)

საქ. განსახკომის, გაზ. „კომუნისტის“, საქ. ა.ლ.კ. კავშირის ც. კ-ის და საქ. განათლების პროფკავშირის ც. გამგეობის მიერ გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსის პირობების გაცნობამ ჩვენი სკოლის მასწავლებლთა და მოწაფეთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მე-29 სკოლამ, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა, ნორმალური მეცადინეობა დაიწყო ა.წ. 15 სექტემბერს. გაიშალა პროგრამულ-მეთოდური მუშაობა, მოწაფეები მომარაგებულ იქნენ სასწავლო ნივთებით და ხელსაწყოებით, ლაბორატორიები და კაბინეტები შეივსო საჭირო ხელსაწყობით და წიგნებით. მასალები, მიღებული იქნა გადამჭრელი ზომები მასწავლებელთა სზ.-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, გაიშალა კულტმასობრივი მუშაობა, გაჩაღდა ბრძოლა მოწაფეთა შორის დის ციპლინის განმტკიცებისათვის, გაღრმავდა პიონერთა შორის აღმშრდელობითი მუშაობა და წაოთების სისტემატიური ბრძოლა საწარმოო სწავლებაა მიცდილიული ორგანიზაციათაგის.

სასწავლო წლის პირველი მეოთხედის მუშაობის აღრიცხვის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ სოციშეჯიბრების, დამკვრელობისა და სზ. ბუქსირის მეთოდების ფართოდ გამოყენებით ჩვენმა სკოლამ უზრუნველყო ადინშნული დროის განმავლობაში სავალდებულო აღმშრდელობითი მუშაობის გეგმებისა და პროგრამების მთლიანად შესრულება, სათანადო ხარისხის დაცვით.

სკოლების რესპუბლიკურ კონკურსში ჩაბმითა და შრომის სოციალისტური ფორმების და მეთოდების გამოყენებით ჩვენი სკოლა შესძლებს მის წინაშე დასახული ამოცანების „ბოლშევიკურად შესრულებას და „ძირითადი ნაკლის“ მთლიანად აღმოფხვრას.

ჩვენი სკოლა ბოლშევიკური ტემპებით უზრუნველჰყოფს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 5 სექტემბრისა და 25 აგვისტოს გადაწყვეტილებათა რეალიზაციას მოწაფეთა „მეცნიერების ძირითადი საფუძვლების“ სისტემატიური ცოდნით შეიარაღების შესახებ.

ვებმებით რა კონკურსში ვალდებულების საუკეთესოდ შესრულებისათვის, სოციშეჯიბრებაში ვიწევით მე-25, მე-6, მე-10 რკ. გზის, მე-10 ქალაქის, მე-32 და მე-30 სკოლებს.

მე-29 შრომის სკოლა ხუსკიშვილი.

ᲕᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲘᲡ 10 ᲬᲚᲔᲓᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲠᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐᲡ
(ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ველის - ციხის ათწლედმა გასული სასწავლო წელი სამარცხვინოდ გარღვევით დაამთავრა. ამის მიზეზი იყო სკოლის ყოფილი ხელმძღვანელობის უხეირო, კანცელარული და, ბიუროკრატული მუშაობა; რომ ამ სკოლაში ყველაფერი რიგზე არ იყო და საქმისადმი ამკარა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ქონდა ადგილი, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ გასულ წელს **35 პროცენტზე მეტი მოსწავლე იმავე ჯგუფში დატოვეს; მოსწავლეთა აკადემიური წარმატება კი მხოლოდ 22 პროცენტს უდრიდა.** სოციალისტური შეჯიბრება აქ ფორმალურად იყო, გაშლილი და სწავლების ხარისხს. ამაღლებისათვის, მის ფართოდ გამოყენებაზე არავინ ზრუნავდა, მოსწავლეთა შორის დის ციპლინის განმტკიცებისათვის, „არც ერთი გაცდენა, წესრიგის დარღვევა და სწავლაში ჩამორჩენა“—ასეთია მოსწავლეთა ლოზუნგი.

სკოლის განახლებულმა ხელმძღვანელობამ ახალ სასწავლო წლის დასწყისში დასახა ღონისძიებანი ამ დეფექტების გამოსასწორებლად.

ველის - ციხის ათწლედის გამგედ ამჟამად **დ. ჩხეიძე** ითელება; **ჩხეიძე** იბრძვის სკოლის მუშაობის გარდასაქმნელად და **სწავლების მაღალი ხარისხისათვის;** მართლაც, რაც ამხ. ჩხეიძე ჩაუდგა სათავეში ამ სკოლას, **საქმეს თვალსაჩინო გაუმჯობესება დაეტყო,** მან სკოლის გარშემო დარაზმა საზოგადოებრივი ყურადღება, შექმნა სკოლაში შეგნებული დისციპლინა, განამტკიცა მოსწავლეთა შორის შრომის საყვარული, აკადემიური წარმატებების მაღალი ხარისხისათვის ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება - დამკვრელობა და საზოგადოებრივი ბუქსირი.

ველის - ციხის ათწლედი ენტუზიაზმით გამოეხმაურა საქ. განათლების კომისარიატის, გაზ. „კომუნისტი“-ს ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განათ. მუშ; კავშ. ც; გამგეობის მიერ გამოცხადებულ სკოლების კონკურსს;

სკოლის პედაგოგიურმა პერსონალმა და ადგილობრივმა კომკავშირის ორგანიზაციამ კონკურსის პირობებში დასმულ საკითხების წარმატებით შესასრულებლად, თავის მხრივ აიღეს შემდეგი ვალდებულება:

ორწლიანობამდისთან ბრძოლის მიზნით ჩამოაყალიბებენ სუსტ მოწაფეთა ჯგუფებს, რომელზედაც მიამაგრებენ მსწავლებლებს და აკადემიურად ძლიერ მოსწავლეებს.

სკოლას უზრუნველყოფენ სტაბილური სახელმძღვანელოებით.

მეთოდბიუროში დაამუშავებენ ხუთ პედაგოგიურ, თეორიული ხასიათის საკითხს მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

განამტკიცებენ როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა შორის შეგნებულ დისციპლინას.

სკოლის დამხმარე მეურნეობის ბიუჯეტით მოწაფეთათვის მოაწყობენ უფასო კვებას (საუზმეს და სადილს).

კონკურსის პირობებს დაიყვანენ თვითეულ მასწავლებლამდე და მოსწავლემდე.

ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შე

თელავისა და სტალინისის რაიონებში

აჭიანურებენ პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობას

პირუტყვის საზამთრო ბინებისათვის არ ზრუნავენ

(თელავი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონში მელორეობის 12 ფერმაა, აქედან ერთი საკოლმეურნეო; გარდა ამისა, მეძროხეობის ფერმაა ოთხი (566 სულით), მეცხვარეობის სამი, (8608 სულით) და მეცხენეობის — სამი (225 ცხენით). ზამთრის პერიოდისათვის კოლმეურნეობებია მთელი პირუტყვი უზრუნველყოფილია საკვებით. მაგ., მელორეობის სას. ფერმებისათვის გამოყოფილი და დაკვალშეულია 238 ცენტნერი საკვები, წყლიანი — 50 ცენტნერი, მეძროხეობის ფერმებისათვის უნდა საკვები — 4550 ცენტ. და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობა. არის მთელი რიგი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, რომელთაც გასულ წელს დაწყებული ბინები ჯერაც არ დაუმთავრებიათ.

ბინების მშენებლობაში სამარცხვინოდ ჩამორჩება სოფ. **შალაურის** კოლმეურნეობა, რომელსაც გასულ წელს 100 სული ძროხისათვის დაწყებული ბოსლის მშენებლობა დღესაც არა აქვს დამთავრებული. ამ კოლმეურნეობას მშენებლობის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 40 პროცენტით; სოფ. **ვარდისუბნის** კოლმეურნეობას მსხვილფეხა პირუტყვისათვის ბინის მშენებლობის გეგმა შესრულებული აქვს 45 პროცენტით.

ღორებისათვის ბინების მშენებლობაც, სოფ. სანაორისა და ფშავლის გამოკლებით, მეტად ჩამორჩა; ასე, მაგალითად, სოფ. **ჯუღაანის** კოლმეურნეობას ღორებისათვის ბინის მშენებლობის გეგმა შესრულებული აქვს 40 პროც., **ართანის** კოლმეურნეობას — 40 პროც. **ნაფარეულისას** — 30 პროც., მატნის წინაწყვერის კოლმეურნეობას — 30 პრ.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს აგრეთვე პრიმიტიული ბინების მშენებლობა. სოფ. **გულგულის** პირველ კოლმეურნეობას გეგმა შესრულებული აქვს 50 პროც., **ლალისყურისას** — 40 პროც., **ზემოხოდაშენისას** — 40 პროც., **მატნის** კოლმეურნეობას — 35 პროცენტით; რაც შეეხება ცხენებს და ცხვარს, ისინი უზრუნველყოფილი არიან საზამთრო ბინებით და ფარეხებით.

პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია არა საშენი მასალისა და სათანადო თანხების უქონლობით, არამედ **კოლმეურნეთა ხელმძღვანელობის და ადგილობრივი ორგანიზაციების** მოუქნელი მუშაობით, უპასუხისმგებლობით და ოპორტუნისტულ თვითდინებაზე დაყრდნობით.

საჭიროა თელავის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამ. - სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ მიიღონ ყოველგვარი ზომები პირუტყვის საზამთრო ბინების დაწყებული მშენებლობის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად.

ამასთან ერთად უნდა გამოირკვეს და პასუხისგებაში მიეცეს იმ კოლექტიურ-ეობათა თავმჯდომარეები, რომელთაც აქვთ ყოველგვარი საშუალება, საზამთრო ბინების მშენებლობისათვის, მაგრამ აჭიანურებენ მის დროულად დამთავრებას.

არკო.

„საერთო“ ხელმძღვანელობის შედეგად

(საბარეჯო, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სააქ. კა. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 10 სექტემბრის დადგენილებით გარკვეული მითითებები მისცა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ გეშალათ ბრძოლა პირუტყვის გამოზამთრების უკეთეს მოსაწყობად.

სააკ. კა. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება და საბჭოთა ორგანიზაციამ და სამ. - სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ მიიღონ ყოველგვარი ზომები პირუტყვის საზამთრო ბინების დაწყებული მშენებლობის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად.

ამასთან ერთად უნდა გამოირკვეს და პასუხისგებაში მიეცეს იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომელთაც აქვთ ყოველგვარი საშუალება, საზამთრო ბინების მშენებლობისათვის, მაგრამ აჭიანურებენ მის დროულად დამთავრებას.

არკო.

32 ბოსლიდან არცერთი არ არის მზად

(სტალინისი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის — ამხ. **ბერიას** მითითებათა რეალიზაციის მიზნით, სტალინისის რაიაპარტკომმა და რაიაღმასკომმა, გამოაცხადეს 10 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე რაიონში პირუტყვის საზამთროდ დაბინავების მასობრივი შემოწმება.

სასოფლო საბჭოებს და სოფლის პარტუჯრედებს წინადადება მიეცათ ამ საქმის ჩასატარებლად ადგილებზე გამოეყოთ ბრიგადები და შემოწმების პერიოდშივე აღმოეფხვრათ არსებული დეფექტები, რათა ყოველშრივე უზრუნველეყოთ პირუტყვის საზამთროდ წესიერი დაბინავება.

ქვენატკოცის, ფლეურის, წრომის და სურამის სასოფლო საბჭოების გამოკლებით, დანარჩენ სასოფლო საბჭოებში შემოწმება სუსტად მიმდინარეობს. ამ საქმეში ჩაბმული არ არიან კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მასები. მაგალითად, **ქარელის, გომის, ხელის და მახისის** სასოფლო საბჭოებს 17 ნოემბრამდე შემოწმების ჩასატარებლად არაფერი არ ჰქონდათ გაკეთებული.

ამჟამად მთელ რიგ კოლმეურნეობებს პირუტყვისათვის საზამთრო ბინები არ მოეპოვებათ (მიწობი, ხელისი, ქვიშხეთი), დაწყებული ბოსლების მშენებლობა კი სუსტად წარმოებს.

1933 წელს კოლმეურნეობებში გეგმით აშენებული უნდა იქნეს 32 ბოსელი. ამისათვის რაიონმა თავის დროზე მიიღო კრედიტი; მაგრამ ეს თანხები მთლიანად არ არის გამოყენებული. 32 ბოსლიდან დაწყებულია 19 ბოსლის მშენებლობა, აქედან დღემდე არცერთი ბოსელი არ არის დამთავრებული.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში კარგი მოსავლის მიღების შედეგად, პირუტყვი საკვებით უზრუნველყოფილია.

რაიონში ძლიერ სუსტია ვეტერინარული ზედამხედველობა. არ ხდება პირუტყვის პერიოდულად შემოწმება, რაიონის ვეტ-ექიმი **აბაშიძე**, სათანადოდ ვერ უძღვება ამ საქმეს.

რაიონში ვეტ. ამბულატორიის ბინის დაწყებული მშენებლობა არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს.

საჭიროა სამ. - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებამ და მიწგანმა სასწრაფო ზომები მიიღონ პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობის დაჩქარებით დასამთავრებლად და ვეტმომსახურების გასაუმჯობესებლად.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გამოცხადებული შემოწმების წარმატებით ჩატარებას უნდა უზრუნველყოს პირუტყვის საზამთროდ წესიერი დაბინავება.

ტ. გოზალოვი.

„საერთო“ ხელმძღვანელობის შედეგად

(საბარეჯო, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სააქ. კა. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 10 სექტემბრის დადგენილებით გარკვეული მითითებები მისცა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ გეშალათ ბრძოლა პირუტყვის გამოზამთრების უკეთეს მოსაწყობად.

სააქ. კა. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება და საბჭოთა ორგანიზაციამ და სამ. - სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ მიიღონ ყოველგვარი ზომები პირუტყვის საზამთრო ბინების დაწყებული მშენებლობის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად.

ამასთან ერთად უნდა გამოირკვეს და პასუხისგებაში მიეცეს იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომელთაც აქვთ ყოველგვარი საშუალება, საზამთრო ბინების მშენებლობისათვის, მაგრამ აჭიანურებენ მის დროულად დამთავრებას.

არკო.

32 ბოსლიდან არცერთი არ არის მზად

(სტალინისი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის — ამხ. **ბერიას** მითითებათა რეალიზაციის მიზნით, სტალინისის რაიაპარტკომმა და რაიაღმასკომმა, გამოაცხადეს 10 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე რაიონში პირუტყვის საზამთროდ დაბინავების მასობრივი შემოწმება.

სასოფლო საბჭოებს და სოფლის პარტუჯრედებს წინადადება მიეცათ ამ საქმის ჩასატარებლად ადგილებზე გამოეყოთ ბრიგადები და შემოწმების პერიოდშივე აღმოეფხვრათ არსებული დეფექტები, რათა ყოველშრივე უზრუნველეყოთ პირუტყვის საზამთროდ წესიერი დაბინავება.

ამ საკითხის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ საგარეჯოს რაიონის კომკავშირსა და პროფორგანიზაციას. გასულ ზამთარში საგარეჯოში ყოფილ ეკლესიის შენობაში მოაწყეს სასპორტო დარბაზი მეცადინეობას ხელმძღვანელობდა ვინმე **ბაგრატ გარხაშვილი**, რომელიც გამოუსადეგარი აღმოჩნდა ამ საქმისათვის. მას არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია ნაშრა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ საფუძველზე. მისი უთანაბით დატაცებული იქნა დარბაზიდან სპორტინვენტარი. აქედან ცხადია, თუ როგორი იქნებოდა აქ მეცადინეობა და მუშაობა. საგარეჯოს რაიონის არც ერთ კოლმეურნეობაში არაფერია გაკეთებული.

ხსენებულმა გარხაშვილმა რაიონში ფიზკულტურული მუშაობა მწარმოებელთა ჯანმრთელობის ზრდის გზიდან გადაიყვანა ფუქსავატური გართობის და ცარიელი წემპიონობის გზაზე. მან თავი გამოიჩინა ფასიანი ჭიდაობის გამართვაში და ძვირად გაყიდული ბილეთების ფული მითვისა.

გასულ წელს რაიონში ზოგიერთ კოლმეურნეობებს უბინაობისა და ცუდი მოვლის შედეგად დაეხოცა პირუტყვი. ეს გარკვეთილება წელს ვერ გამოიყენეს. საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელებმა.

20 ნოემბრისათვის სოფ. **გომბორში** და ბართიჭალაში აგებული იყო ბოსელი 290 სული რქოსანი პირუტყვისათვის. გარდა ამისა, ღორებისათვის აგებულია ბინა — 150 სულისათვის. დანარჩენი ბინები არ აქ მაყოფილებენ ზოოტექნიკურ მოთხოვნებს და უვარგისია საქონლის გამოსაზამთრებლად.

აღსანიშნავია, რომ პირუტყვისათვის ბინების, საკვების, მუშა-პირუტყვის რემონტის და მეცხოველეობის სხვა საკითხებზე მთელ რაიონში მხოლოდ ერთა ზოოტექნიკი მუშაობს. რაიონში სხვა არავინ აწყვებს თავს სოფელებში მასობრივი მუშაობის გასაშლელად და ადგილებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად:

რაიმიწგანმა არ იცის, თუ რა მდგომარეობაა სოფ. **მალხაზოვკაში** პირუტყვისათვის ბინების მშენებლობის მხრივ. რაიმიწგანი თავს იიმედებს: „ალბად აშენებენ... თუ კულტურულად არა, უბრალოდ მიწა“-ო. სოფ. **კაკაბეთის** კოლმეურნეობას ყავს 400 ცხვარი, რომლის გამოზამთრებას აპირებენ შირაქში, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ადგილობრივ კი მათ არა აქვთ ბინა. მიწგანს არც ეს ამბავი აწუხებს.

რაიონში 25 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს პირუტყვისათვის საზამთრო საკვების გამოყოფა. 20 ნოემბრისათვის რქსანი საქონლისათვის გამოყოფილი იყო სულ ი საკვები ნაცვლად 1905 ცენტნერისა 1675 ცენტნერი; კონცენტრული საკვები. ღორებისათვის 295 ცენტნერი, კონცენტრული საკვებიდან დაჯაგწულია 123 ცენტნერი. რაიონში კონცენტრული და უმეტეს საკვებით არც მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებია უზრუნველყოფილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 16 ნოემბერს პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობის დასამთავრებლად რაიონმა ცენტრიდან მიიღო კრედიტები. 20 ნოემბრისათვის ეს კრედიტი ბანკიდან ჯერ კიდევ არ იყო გატანილი.

საჭიროა საგარეჯოს რაიონის პარტკომმა კომიტეტმა და სამანჭანო-სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ ამ მდგომარეობას მიაქციონ სასწრაფო ყურადღება, რათა ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი კრედიტება კოლმეურნეობის მიერ მოლიანად აქნას ათვისებული.

რაიმიწგანმა ამჟამად მთელი თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს პირუტყვისათვის საზამთრო ბინების მშენებლობის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად და საკვების მოსამარაგებლად.

„საერთო“ ხელმძღვანელობას გადაჭრით უნდა მოეკიდოს ბოლო.

ნ. ფხაკაძე.

ფიზკულტურული მუშაობა მივიწყებულია

(წერილი მიჩურჩაანიდან)

„საქშავთის“ მირზაანის სარეწოებში ფიზკულტურული მუშაობა მივიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ აქ რამდენიმე ასეული ახალგაზრდა მუშაობს, ადგილობრივი ადმინისტრატიული და პროფესიული ორგანიზაციები მასების ფიზკულტურაზე არ ზრუნავენ. ავიღოთ ბურღვის კომიტეტი. მას იმდენი თანხა მაინც მოეპოვება, რომ ფიზკულტურის ხელმძღვანელი აიყვანოს და შეიძინოს იარაღები, რომელიც საჭიროა ერთელ რიგში ფიზკულტურის წრის ნორმალური მუშაობისათის, ფიზკულტურული მუშაობის გაჩაღება საქშავთის მუშა ახალგაზრდობას შორის გაზრდის მათ შრომითის ენტუზიაზმს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად, რაზედაც ადგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებად ფიქრობენ.

გასულ ზაფხულში ბანაკად წასულ კომკავშირელებს ჰყავდათ ფიზკულტურის წრის ხელმძღვანელები, რომლებიც დიდ ხალისით მეცადინეობენ, ამჟამად კი ის იარაღები, რომლებზედაც ვარჯიშობენ, ღობის ქვეშ ყრია და ნიავდება.

საჭიროა ამ გარემოების მიქცევს ყურადღება როგორც ადგილობრივ ორგანიზაციების, ისე საქ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს მხრით, რათა ბოლო მოეღოს საქშავთის სარეწოზე ფიზკულტურული აღზრდის შეუფასებლობას.

გ. ბუაძულაძე.

შეჯიბრება ფრენბურთში

18 ნოემბრის ლენინის სახელობის სპორტ დარბაზში გაიხსნა გათამაშება ტფილისის პროფკავშირთა ხელბურთისა და ფრენბურთის გუნდებს შორის. თამაშის დაწყებამდე მოხდა მონაწილეთა აღლუმი, რის შემდეგ დაიწყო ამხანაგური შეჯიბრებები გუნდებს შორის. შეჯიბრება დაიწყო ვაჟთა გუნდებით. პიონერად შეხვდენ კავშირგაბმულობის მუშაკთა და სარემონტო ქარხნის გუნდები. მათი თამაში დამთავრდა კავშირგაბმულობის გუნდის სასარგებლოდ 2:1. ჩქარი ტემპებით დაიწყეს თამაში ფრენბურთის ტფილისის უძლიერესმა გუნდებმა—მეტალურგების და ხელოვნების კავშირთა გუნდებმა. თამაში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა 4:4, 5:5, 6:6, უკანასკნელი ანგარიში 9:9, შემდეგ ხელოვნების კავშირის გუნდი მიდის წინ და პირველ პარტიას უგებს მეტალურგების კავშირის გუნდს 15:9, მაგრამ მეორე თამაშში ადვილად იგებს მეტალურგების კავშირის გუნდი 15:6. ძლიერ საინტერესო გამოდგა ამ გუნდების მესამე შეხვედრა. თამაშში მათ გემოჩინეს საუკეთესო ტექნიკა და ცოდნა. თამაში დიდხანს თანასწორად მიდიოდა, მაგრამ ხელოვნების კავშირის გუნდი იკრებს ღონეს, აძლიერებს ტემპებს და მოგებაც მას რჩება. მეტალურგების კავშირის გუნდს ის უგებს 15:13. ქალთა ფრენბურთში შეხვიბრება მეტალურგების კავშირისა და კავშირგაბმულობის გუნდებს შორის მთავრდება კავშირგაბმულობის კავშირის გუნდის სასარგებლოდ 2:1. უკანასკნელი გუნდი გამოვიდა 5 კაცის შემადგენლობით (6 მაგიერად). უნდა აღინიშნოს კავშირგაბმულობის კავშირის გუნდიდან დიაჩენკოს და ბრეჟანოვის კარგი თამაში.



ლენინის სახ. სტადიონი; ფიზკულტურელები სტარტის წინ.

შეეძენათ საბჭოთა ლიტერატურის

მაგნიტომშენები და ფერომარგანმშენები

მწერალთა საკავშირო ორგკომიტეტის გრიბადის წერილი

საბჭოთა მწერლების სრ. საკავშირო ორგკომიტეტის ბრიგადა დაბარებულ ფერომარგანმშენებსა და რიონჰესზე მოგზაურობიდან. ბრიგადამ გამოუშვა შემდეგი მიმართვა საქართველოს მშრომელებისა და საბჭოთა მწერლებისადმი:

საბჭოთა მწერლების სრ. საკავშირო ორგკომიტეტის გაერთიანებულმა ბრიგადებმა, საქართველოს მწერლებთან და აზერბეიჯანის ორგკომიტეტის წარმომადგენლებთან, მხოლოდ სამ დღეს დაჰყვეს ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში, რიონჰესზე და ჭუათისში.

ჩვენ ვხედავთ ახლანდელ საქართველოს, ძმურ, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, რომლის გული ძგერს მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად.

ჩვენ ვნახეთ იმერელი გლეხები, რომელნიც პროლეტარები, ფერომარგანეცის ქარხნის დამკვრელები ხდებიან, რომელნიც, როგორც, მაგალითად, ამხ. **სალაძე**, გადვარვარებულ შენადნობს ებრძოდენ და მას კალაპოტში აყენებდენ.

ჩვენ ვნახეთ კალაპოტ-გამოცვლილი მდინარე რიონი. რიონჰესის ენერგიას მატარებლები სურამის უღელტეხილზე აყავდა. და ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენ ვნახეთ, ამხანაგურად, მეგობრულად მადლობას ვუცხადებთ საქართველოს პროლეტარებს და უველა იმას, ვინც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ საქართველოს აშენებს.

გარდა ამ მთავარ და წარმუშელი შთაბეჭდილებისა, რომელიც ჩვენ ამ მოგზაურობიდან გამოვიტანეთ, ჩვენ კიდევ გვსურს ვუთხრათ მოკლე სიტყვა ჩვენს ამხანაგებს—საქართველოს მწერლებს და პოეტებს, რომელნიც ჩვენთან იყვნენ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთელი საბჭოთა კავშირის საბჭოთა მწერლების ნამდვილი ამხანაგობა, ნამდვილი მაღალხარისხოვანი, ფერომარგანეცის მსგავსი, კულტურული შედუღება წარმოიშობა სოციალისტურ საქართველოში ჩვენი ასეთი საერთო მოგზაურობიდან.

გულახდილად რომ ითქვას, ამხანაგებო, ჩვენ ჩამოვრჩებით სოციალიზმის მშენებლებს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენებურ დამკვრელებს, მუშებსა და ინჟენერებს. მაგრამ რაც უფრო ახლო და უფრო ხშირად დავხანახავ ჩვენს ქვეყნის პროლეტარიატის გამარჯვებებს, მით უფრო ახლო იქნება ჩვენი გამარჯვებანიც, საბჭოთა ლიტერატურის მაგნიტომშენები და ფერომარგანმშენები.

და ჩვენი, ამ ლიტერატურის ალი კიდევ უფრო მკაფიოდ გააშუქებს მთელს მსოფლიოს და ისევე დიდებული და დამაჯერებელი იქნება მთელი ქვეყნიერებისათვის, როგორც სანდომი ლუმელების ცეცხლი საქართველოს მტრედისფერ ცის ქვეშ.

სალამი საქართველოს პროლეტარიატს, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

სალამი ჩვენს ამიერკავკასიელ ამხანაგებს—საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის მწერლებს და პოეტებს.

ვ. კირპოტინი,
ნ. ტიხონოვი,
ბ. პასტერნაკი,
ლ. ნიკულინი,
გატოვი,
კოლცოვი.

ვამოწმებთ ქუჩების მშენებლობის მიმდინარეობას

ახალი სანაპირო ქუჩის გაყვანა

საჭიროა ხეტყის მასალები და დაფინანსების მოგვარება

ახალი სანაპირო ქუჩის გასაყვანად საჭიროა ორი ძირითადი სამუშაოს შესრულება—გზის გაყვანა და საინჟენერო ნაგებობათა (დამბების, ნიაღვარის გასავალი გვირაბების, კედლების და სხვ.) აგება. მშენებლობა ამჟამად უკვე უზრუნველყოფილია ყველაფრით, გარდა დაფინანსებისა. კომუნალური ბანკი დაუბრკოლებლივ ვერ აფინანსებს მშენებლობას, ამ უკანასკნელის ხელმძღვანელები ხშირად ვერ პოულობენ საჭირო თანხებს იმისათვის, რომ მუშები დროზე გაისტუმრონ და ამის გამო უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვს ტრანსპორტზე მომუშავეების (მეფურგონეების) დენადობას.

ქუჩის გასაყვანი სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭაპანო ტრანსპორტს. სამუშაოების დამთავრება დამოკიდებულია ურმების რაოდენობაზე, იმაზე, თუ რამდენად ჩქარა შესძლებენ მიწის მოზიდვას და მოყრას ქუჩის ზედაპირის ასამაღლებლად. საჭაპანო ტრანსპორტით მშენებლობა ამჟამად უზრუნველყოფილია, თუ შემდეგშიაც ადგილი არ ეკლება მის დენადობას, რასაც დაფინანსების შეფერხება იწვევს. **20 ნოემბერს**, მაგალითად, საჭაპანო ტრანსპორტზე მომუშავეებისათვის უნდა დარიგებოდათ ხელფასი **40.000** მანეთი, უსახსრობის გამო კი შესძლეს მათი მხოლოდ ნაწილობრივ გად დაკმაყოფილება.

საინჟენერო ნაგებობათა დროულად დამთავრებას ხელს უშლის მუშახელის სიმცირე და ცუდი ამინდები. ნაცვლად 695 მუშისა, მშენებლობას ყავს 275 მუშა. მუშახელის სიმცირე არ იძლევა მზიანი დღეების მეტი დატვირთვით და ნაყოფიერად გამოყენების საშუალებას. კარგ ამინდში მუშებს ანაწილებენ მთელ ფრონტზე, იმის მაგიერ, რომ ისეთ სამუშაოებზე, სადაც წყლისშეიძლება მუშაობა, კარგ ამინდში მუშები მოხსნან და უფრო სასწრაფო სამუშაოზე გადაიყვანონ.

ნოემბრის პირველ დეკადაში საავმშენებლო გეგმების შესრულებაში დიდი ჩამორჩენა იყო: დამბის ასაგები ფიცრული ყალიბის მოწყობის (ხმინჯების დასმა და ა.შ.) თვიური გეგმა შესრულებულ იქნა 10 პროცენტით, ქვაბულების ამოღების (მიწის ამოთხრა დამბის საფუძვლისათვის) 8 პროცენტით, დამბის მშენებლობის თვიური გეგმა—15 პროც. და მიწის მოყრა ქუჩის ზედაპირის ასამაღლებლად—20 პროცენტით. ყველა ამ სამუშაოთა გეგმების შესრულება დაბრკოლა მუშახელის და ხეტყის მასალის სიმცირემ. ხე-ტყის მასალის მოუმარაგებლობის მიზეზით მშენებლობამ ვერ შესძლო მუშათა საირთო საცხოვრებელ ბარაკების აგება და ამის გამო ვერ დააჩქარა მუშახელის შეგროვება.

იმ სამუშაოთა გეგმები, სადაც ეს დაბრკოლებები თავიდან აცილებულია, გადაჭარბებით სრულდება. კარუსელის ვეფხვაბის გასაყვანი სამუშაოების ნოემბრის გეგმა პირველ დეკადაში 37 პროცენტით, ანუ 4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. დამბების გადასაბმელი ნაგებობების მშენებლობაზე თვიური დავალება შესრულებულია 54 პროცენტით, ანუ 21 პროც. გადაჭარბებით და ს.ხ. ნოემბრის მეორე დეკადაში მშენებლობის მიმდინარეობაში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ ჰქონია ადგილი.

ქალიაშვის აღმართის გაფართოება

რიყის ქუჩაზე მოძრაობა დროებით უნდა დაიხუროს

ქალიაშვის აღმართის გასაფართოებელი სანაპიროს გაწმენდა ამჟამად აბრკოლებს ორი გარემოება: პირველი—ასაღებად გათვალისწინებული სახლებიდან მობინადრეების ახალ ბინებში გადასახლების გაჭიანურება, რაც აბრკოლებს საყრდენი კედლის ასაგები სამუშაოების წარმოებას; მეორეა—მოძრაობა რიყის ქუჩაზე, რის გამო მშენებლობის ტრანსპორტის მუშაობა ფერხდება, ეს კი აბრკოლებს მშენებლობის მომარაგებას საშენი მასალით.

26 ნოემბერს სახ. რაიაბჭომ, მიუხედავად მშენებლობის ხელმძღვანელთა მრავალგზის მოთხოვნისა, ვერ უზრუნველყო ასაღებად გათვალისწინებული სახლების განთავისუფლება მდგმურებისაგან. 10 სახლიდან ნოემბერში განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ ერთი, სახლების აუღებლობა კი აფერხებს საყრდენი კედლის მშენებლობას.

მშენებლობა ამჟამად უზრუნველყოფილია როგორც მუშახელით, ისე საშენი მასალებით და ტრანსპორტით. უახლოეს დღეებშივე რიყის ქუჩაზე შეწყვეტილი უნდა იქნეს საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა, რადგან ამ ქუჩაზე ყოველდღიურად სადგურს წლიურად 38,144 მანეთის ეკონომია აძლევენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობა კარგად იცავ, თუ რა დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს გამოგონებას, ისინი სრულ უპასუხისმგებლობას და გულგრილობას იჩენენ ამ საქმისადმი. ბიუროკრატიული დამოკიდებულება გამომგონებლობისადმი აშკარა მავნებლობაა, რომელსაც მაგრად უნდა დავარტყათ. ყველა ის პირები, რომლებიც აჭიანურებენ გამოგონებების ცხოვრებაში გატარებას, სასტიკად უხდა დაისაჯონ. ჩვენ აქ ვილაპარაკეთ ერთ აღმაშფოთებელ ფაქტზე, რომელიც ააშკარავებს ა.-კ. რკინის გზების კავშირგაბმულობის ხელმძღვანელების ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ამხ. **მეგრელიშვილის** გამოგონებისადმი.

ამხ. მეგრელიშვილის გამოგონებას დიდი ღირსება აქვს. მისი ცხოვრებაში გატარებით.

შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მოძრაობის უშიშროება, ადგილი არ ექნეს კატასტროფებს, რომლებიც არც ისე იშვიათია რკ. გზის ტრანსპორტზე.

ამხ. მეგრელიშვილმა 1930 წელს გაჟოგონა **„სემაფორის ავტომატური გასალები“**, რომლის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ სადგურის მორიგეს არ შეუძლია დაკავებულ ლიანდაგში მიიღოს და ან შეცდომით გაუშვას მატარებელი. ავრეთვე, ვერც მეისრე გადაიყვანს მატარებლის ქვეშ ისარს. ამ გამოგონების ღირსებები რამდენჯერმე დამტკიცდა ცდებით, მაგრამ გამოგონება მაინც ცხოვრებაში არ არის გატარებული. იგი კავშირგაბმულობის უფროსს მაუდ ქვეშ აქვს შენახული. ეს მაშინ, როდესაც სისტემატური ხასიათი აქვს დაკავებულ ლიანდაგებზე მატარებლების მიღებას, მოძრაობის უშიშროების სხვა წესების ხშირ დარღვევას და მარცხებს.

1931 წელს გამომგონებელთა საბჭოო ბიუროში მიიღო ამხ. მეგრელიშვილის გამოგონება და მას ჯერ-ჯერობით 3300 მანეთი. გამომგონებელმა ეს თანხა შესწირა სკოლას. 1932 წელს ეს გამოგონება გატარებული იქნა სადგურ სკრაში და ქარელში, მაგრამ იგი ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოხსნეს, ვინაიდან რკინისაგან ჩამოსხმული კვერთხი არ გამოდგა. 1932 წლის შემდეგ ა.-კ. რკ. გზ. კავშირგაბმულობის ბიუროკრატებმა ვერ შესძლეს კვერთხის ფოლადისაგან ჩამოსხმა. ნუ თუ ეს ასე ძნელია? არა. საქმე ისაა, რომ ბიუროკრატები არ აფასებენ ამხ. მეგრელიშვილის გამოგონებას და ძალით აჭიანურებენ მის ცხოვრებაში გატარებას. საჭიროა გაირღვეს ბიუროკრატიზმის რკალი და რკინის გზის ენტუზიასტის ამხ. მეგრელიშვილის გამოგონებას ფართო გზა მიეცეს.

მიუხედავად იმისა, რომ მეგრელიშვილის გამოგონებას ბიუროკრატიზმის კედელი გადეეღობა წინ და იგი დღემდე არ არის ცხოვრებაში გატარებული, გამომგონებელი მაინც აგრძელებს და აღორძინებს თავის საყვარელ საქმეს. და აი მისი მეორე გამოგონება. **„სადგურის ლიანდაგების მოძრაობის ცოცხალი გეგმა“.**

ეს გამოგონება მართო სად. დიდუბეშია გატარებული. რატომ არ შეიძლება /მისი სხვა სადგურებშიც გამოყენება?

ამხ. მეგრელიშვილი ხშირად მიდის კავშირგაბმულობის განყოფილებაში და ხელმძღვანელებს ეკითხება:

— რა მდგომარეობაშია ჩემი გამოგონების გამოყენების საქმე?

ამ კითხვაზე ეს ყოველთვის ერთნაირ პასუხს ღებულობს:

— გავატარებთ, რა გეჩქარება...(!)

ეს არის ბიუროკრატის პასუხი. ჩვენ მოვითხოვთ ა.-კ. რკ. გზების კავშირგაბმულობის ხელმძღვანელებისაგან გვიპასუხონ, თუ როდის აპირებენ ისინი ამ ძვირფასი გამოგონების ცხოვრებაში გატარებას? დამნაშავეები უნდა დაისაჯონ.

ფართო გზა ამხ. მეგრელიშვილს გამოგონებებს!

კლ. გოგიავა.

ფიგკულტურა უნდა ემსახურებოდეს

პროლეტარული რევოლუციის საქმეს

მეტი ყურადღება მსოფლიო სპარტაკიადისათვის მზადებას

ფიზკულტურულ მოძრაობის ახალ ამოცანათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი მსოფლიო სპარტაკიადისთვის მზადებას უჭირავს. მსოფლიო სპარტაკიადის მნიშვნელობა უნდა იცოდეს საბჭოთა კავშირის ყოველმა მშრომელმა. უამისოდ შეუძლებელია ამ გრანდიოზული პროლეტარული დღესასწაულის შესაფერისად ჩატარება. ეს სპარტაკიადა არ წარმოადგენს მარტო საბჭოთა კავშირის ფიზკულტუროსანთა დღესასწაულს, არამედ იგი მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაულია. მსოფლიო სპარტაკიადა უნდა გადაიქცეს სოციალისტურ შეჯიბრებობის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების დარგში მოპოებული მიღწევათა დემონსტრაციად.

მსოფლიო სპერტაკიადამდე, ყოველ მიწეზ გარეშე უნდა ჩატარდეს ფიზკულტურული დღესასწაულები, რომლებიც ხელი უნდა შეუწყონ მშრომელთა ახალგაზრდობას საზოგადოებრივ - პოლიტიკური აქტიობის შემდგომ ზრდას, გაფართოვოს ფიზკულტურული მოძრაობა ფიზკულტურულ რეიებში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმის საშუალებით, უზრუნველყოს ფიზკულტურის ქვედა რგოლის სათანადოებრივი პოლიტიკური განმტკიცება და ნორმების მთლიანად ჩაბარება ნიშანზე — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“.

მსოფლიო სპარტაკიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა შემდეგი ოთხი ძირითადი დანიშნულებით გამოიხატება: 1. მსოფლიო სპარტაკიადისათვის თვირეული ფიზკულტურელი უნდა გახდეს წარმოების ნამდვილი დამკვრელი; 2) ფიზკულტურელთა რიგები უნდა გამრავლდეს 10 მილიონამდე, უნდა უზრუნველყოთ ფიზკულტურის გადაქცევა მრავალმილიონიან მასობრივ ორგანიზაციად; 3) სპარტაკიადის დასაწყისში საბჭოთა კავშირში უნდა გვყავდეს 2 მილიონ ფიზკულტურელი, რომელთაც ჩაბარებული ექნებათ ნორმა ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“; 4) მთლიანად უნდა გარდაიქმნას ფიზკულტურული მუშაობა კომპლექსის—„მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ საფუძველზე.

ამ ოთხი ძირითადი ამოცანის რეალიზაცია უზრუნველყოფს ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ წინსვლას, საჭიროა მსოფლიო სპარტაკიადასთან დაკავშირებით

პარტუჯრედის მდივანმა ჩამოხსნა კედლის გაზეთი

(ამბროლაურის რაიონი. ჩვენი საკორესპონდენტისაგან)

ამხ. პოსტიშევის მიერ ხარკოვის ოლქის მუშგლეხკორთა ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის ძირეულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებამდე დაყვანამ და პოპულარიზაციამ საგრძნობი გარდატეხა მოახდინა მუშგლეხკორთა შორის და ამბროლაურის რაიონის ძირეული პრესის მუშაობაში.

კედლის გაზეთების რიცხვი გაიზარდა 66—68-მდე. მთელ რიგ კედლის გაზეთებთან მოწესრიგებულია კედლკორთა აღრიცხვა და მათთან მუშაობა (წესი, მუხლი, ჭელთაღელე, ადელი, კრახი, შრომა და სხვა); გაზეთები აქ სისტემატიურად გამოდის.

აღნიშნულ გარდატეხასთან ერთად რაიონის ზოგიერთი ძირეული პარტიული და საბჭოთა საკოლმეურნეო ორგანიზაცია მაინც სათანადოდ არ აქცევს ძირეული პრესისა და მუშგლეხკორთა შორის მუშაობას.

მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები დღემდე არ ხელმძღვანელობს ძირეულ პრესას მაგ., ხიმშის, ნამანევის, ზედუბნის, ტოლის, ბუგეულის, ამბროლაურის, იწის და გორის კოლმეურნეობებში გამოდის კედლის გაზეთები, რომლებიც პარტიულ უჯრედების მიერ სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული. ამის შედეგია ის, რომ გაზეთის ნომერი ორ-სამ თვეში ერთხელ გამოდის და ისიც უშინაარსო. არის შემთხვევები, როცა გაზეთში მასალა დაგვიანებით ქვეყნდება, რის გამო მას, ცხადია, ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ განგანყოფილების რეორგანიზაციის შემდეგ სათანადო გარდატეხა უნდა მომხდარიყო ძირეულ პრესაზე ხელმძღვანელობის საქმეში, დღემდე არავითარი ცვლილება არ მომხდარა, რაიონში დღემდე გავრცელებული იყო პრაქტიკა: კედლის გაზეთებს აუცილებლად ხელმძღვანელობდა კლუბ-სამკითხველო, რის გამო კედლის გაზეთები მხოლოდ კლუბ-სამკითხველოებთან (სას. საბჭოსთან) გამოდიოდა.

ამგვარად გაზეთები გამოდის ცალკე კოლმეურნეობებში, სას. საბჭოებთან მათ გამოსვებას კი თავი მიანებეს. ალბათ გონითა, რომ გარდა კოლმეურნეობისა, სხვა რომელმე წარმოება-დაწესებულებას კედლის გაზეთი არ სჭირდება. ასეთი შეხედულებაა ძირეული პრესის დანიშნულებაზე ძირეულად უნდა აღმოიფხვრას.

კიდევ მეტი შეიძლება ითქვას ითელი რიგი ძირეული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაზე ძირეული პრესის დარგში, მაგალითად, ურავის კომუნყრედის პ-მჯ. მდივანმა საჭიროდ არ სცნო სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება და კედლის გაზეთის ყოველ თვეში ერთხელ გამოშვება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცუდადაა დაყენებული კედლის გაზეთები თვითკრიტიკის გაშლის საქმე. ხეთში იმის გამო, რომ რედაქტორმა კედლის გაზეთში მოათავსა სავსებით სწორი იუმორისტული შენიშვნა ერთ პარტკანდიდატზე, ადგილობრივი კომუჯრედის მდივანმა კედლის გაზეთი ჩამოხსნა, რედაქტორი მოხსნა და საქმე იქამდე მივიდა, რომ კედლის გაზეთი მთელი თვეების განმავლობაში სრულიად აღარ გამოსულა. ასე ეხმით პარტიული ხელმძღვანელობა ძირეულ პრესაზე ლიხეთ-ურავის „მეხვეურებს“.

პარტიულმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა ძირეული პრესა უნდა გადააქციონ ყოველდღიური ზრუნვის საგნად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ მას და გახადონ იგი კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ იარაღად.

ალ. დოლაძე

დაუდევროგა, თუ გოროტმოქმედება?

(სტალინის რაიონი)

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გომის სპირტის ქარხნის ნედლეულს უმთავრესად წარმოადგენს სიმინდი, რომელიც გეგმების თანახმად ეგზავნება ქარხანას. 1934 წლისათვის ქარხანას უნდა მიეღო 160 ვაგონი სიმინდი, რომელიც გადმოცემის დირექციამ, მაგრამ როგორც ბოლოს გამოირკვა დირექციას ხელიც არ გაუნძრევია იმისათვის, რომ სიმინდის შესანახად საწყობები მოემზადებინა.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებიდან ზედიზედ 10 დღის განმავლობაში სპირტის ქარხნის სახელზე გომის სადგურზე მიღებულ იქნა 128 ვაგონი სიმინდი, რომელიც გადმოცალეს რკინიგზის ახლოს მიწაზე და ნელი ტემპით დაიწყეს ქარხანაში გადიზიდვა. სადგურიდან ქარხანამდე ერთნახევარი კილომეტრია, თუ მუშაობა ასეთი ტემპით გაგრძელდებოდა თვეები იყო საჭირო მიღებული სიმინდის გადასაზიდავად. საქმეში ჩაერია რაი - აღმასკომი, რომლის განკარგულებით ქარხანას სიმინდის გადასაზიდად მოახმარეს კოლმეურნეობების გამწევი ძალა.

რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ქარხნის დირექტორმა ჩ-მახიძემ რიხიანად განაცხადა — „მიღებულ სიმინდისათვის საჭირო საწყობები მთლიანად მზად არის და მახლობელ დღეებში სწრაფად დავაბრავებთო“, მაგრამ სინამდვილეში გამოირკვა, რომ არავითარი საწყობები ქარხნის დირექციას რა მოუმზადებია. სიმინდის დიდ ნაწილს ყრიდენ ქარხნის ეზოში ღია ცის ქვეშ, ნახევრად ჭაობიან ნიადაგზე. ეზოში დაყრილი სიმინდი წვიმამ მთლად დაასველა და გაიფუჭა, რაშიაც პერსონალურად დამნაშავეა ქარხნის დირექტორი ჩომახიძე.

დროზე უნდა შეკეთდეს

დაახლოვებით ორი თვის წინად ნიკოლაძის ქუჩაზე დაიწყეს ნატახტარის წყალსადენის მილების გაყვანა. ეს ქუჩა ისედაც ვიწროა და ამიტომ თხრილების გაკეთების შემდეგ მოძრაობა სრულებით შეწყდა. დარჩენილია მხოლოდ საცალფეხო გზა და ისიც ზოგიერთ ადგილას იმდენად ვიწრო, რომ წვიმის დროს გავლა შეუძლებელი ხდება. ამ გზის გაასფალტებას ვეღარ ვეღირსეთ, მახლობლად მეტად შეიქმნა ტალახიანი. გზის უხერხულობის გამო ყველა მოტახტილი შეშა უკან წაიღეს. ზოგ კი ლენინის ქუჩიდან შეშას მხარით ეზიდება. რის გამოც გადაზიდვა მეტი ჯდება ვიდრე შეშა ღირს.

ნიკოლაძის ქუჩას აქვს რამდენიმე შესახვევი, მთლიანად ამ ქუჩაზე თავის შესახვევით გამეფებულია სიბინძურე. ორი თვის განმავლობაში ნაგავი არ გაუტანიათ კიდევ მეტი ცეცხლი რომ გაჩნდე მთელი ქუჩა გაიწვება, რადგან ცეცხლის მქრობელ რაზმს არც ერთი მხრიდან მისვლა არ შეუძლია.

სამუშაოზე მუშებს მეტ წილად ვერ ნახავთ ან ორ სამ დღეში თითო ოროლა კაცს თუ შეხვდებით. ცხადია ასეთი მუშაობით საქმე დროზე არ დამთავრდება.

ორგოლის საბჭომ ამ გარემოებას დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება. წინადადება უნდა მიეცეს წყალსადენს, რომ დროზე დაამთავროს მუშაობა ამ ქუჩაზე და აღადგინოს მოძრაობა.

პ გოგოლაშვილი

ქონკურსი საუქეთესო საბინაო ამხანაგობაზე

კონკურსი გამოცხადებულია — მოგინადრეები მის პირობებს არ იცნობენ

25 ოქტომბრიდან ტფილისში მიმდინარეობს კონკურსი საუკეთესო საბინაო - სახ ჯგარო ამხანაგობაზე. უკვე სამმა კვირამ განვლო კონკურსის გამოცხადებიდან, მაგრამ არა თუ ყოველი მობინადრე და ყოველი დასახლისა არ იცნობს კონკურსის პირობებს, აოამედ იგი ჯერ კიდევ უცხოა საბინაო - საიჯარო ამხანაგობათა დიდი უმეტესობისათვის. საკმაოა აღინიშნოს, რომ საქ. საბინაო კავშირის ცნობით (კონკურსს კი იგი ხელმძღვანელობს) 15 ნოემბრისათვის კონკურსში ჩაბმულ ამხანაგობათა ოიცხვი არ აღემატებოდა 500, ტფილისში კი სულ მოწყობილია 850 საბინაო - საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა.

კონკურსის არადამაკმაყოფილებელი მიმდინაოეობა აიხსნება, არა მარტო საქ. ბინაკავშირის სუსტი ხელმძღვანელობით, მთავარი დანაშაული მოუძლეს საბინაო ამხანაგობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში გაურბიან ამ საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობას. ვინ არიან ისეთი თავმჯდომარეები, რომელ მათგანს მიაჩნია სასჯათაშორისო საქმედ ეს საზოგადოებრივი დატვირთვა რატომ თავიდანვე აქტიურად არ ჩაებნენ ისინი კონკურსში — ეს ყველაზე უკეთ უნდა იცოდნენ რაიბინკავშირებმა. მათ კონკურსის მიმდინარეობის პირველ დეკადაშივე საბინაო ამხანაგობებისათვის უნდა მიეწოდებინათ სათანადო მასალები და ინსტრუქციები, მოეხდინათ საბინაო ამხანაგობათა პასიური თავმჯდომარეების დადარჩენა გამოეცალნათ მათი გადაღილი მუშაობა და სხ.

საქ. ბინკავშირის სას ყველაზეროდ უნდა ითქვას, რომ კონკურსის დასაწყებათ საჭირო წინასწარი სამზადისი ვერ ჩაატარეს შესაფერისად, ვერ გააჩაღეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ვერ დაიინტერესეს კონკურსის პირობებით, რაიბინკავშირები, ცალკე საბინაო ამხანაგობები. მოხდა ისე, მაგალითად, რომ საბინაო ამხანაგობებმა სხვლებში არ გამოფინეს კონკურსის დაწყებას მიუწყებელი ლოზუნგები ფურცლები და სხ. დაბეჭდეს ერთ ფურცელზე კონკურსის პირობები დაურიგეს საბინაო ამხანაგობებს. მაგრამ შემდეგ რა ბედი ეწია ამ ფურცლებს — ამით არ დაინტერესებულან.

კონკურსის დამთავრებამდე 1 თვე და 8 დღე დარჩა. ის პერიოდი საკმარისია ეჭ-სთვის, რომ მივაღწიოთ გარდატეხას საბინაო ამხანაგობების მუშაობაში — დროულად დამთავრდეს სახლების რემონტი, შეიკრულებული იქნეს ფიგეგმა, მთლიანად აკვირცხოთ ბინის ქირა, გაეკაროთ სამზადისი 1934 წ. საოშენებლო სეზონისათვის, გავაუმჯობესოთ და მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ სანიტარია და სხ.

საჭიროა დაუგვიანებლივ ახლავე გაჩღდეს მუშაობა რაიბინკავშირებს და ცალკე საბინაო ამხანაგობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად. კონკურსის ხელმძღვანელმა შტაბებმა ოა კომისიებმა თავისი მუშაობა უნდა გადაიტანონ ძირეულ რგოლებში — უმთავრესად — ბინებში, სახლებსა და საბინაო ამხანაგობებში. უნდა მოეწყოს კონკურსში მონაწილეთა შორის ურთიერთი ამხანაგური შემოწმება, მიღებული უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ კონკურსში აქტიურად ჩაებან დისახლისები და განსაკუთრებით სახლის მუშები (მეეზოეები).

საბინაო ამხარკობებსა და ცალკე სახლებში საბინაო ფილი უნდა იქნენ საინიციატივო ბრიგადები ცალკე სამუშაოთა დასაწყებად და სახელმძღვანელოდ (ეზოს გაშვენება, საერთო სარგებლობის ადგილების უფრო შესაფერის ადგილზე გადატანა და სხ.). უნდა მოეწყოს ცალკე სახლებს შორის კედლის გაზეთების გაცვლა - გამოცვლის წესით გამოშვება, კონკურსის საკეთესო მონაწილეთა ჩვენება და სხ.

დაფესებულია 60 ჯილდო.

კონკურსში გამარჯვებისათვის საჭიროა თვითეულმა საბინაო ამხანაგობამ მიაღწიოს საუკეთესო შაჩვენებლებს მუშაობის ამ ძირითადი დარგების მიხედვით, რომელთა გარშემოც გაამახვილა ყურადღება საქ. კ. პ. (ბ) ტილისის კომიტეტის და ტფილისის საბჭოს გაერთიანებულმა პლენუმმა და რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა ამხ. ლ. ბერია იმავე პლენუმზე. კონკურსულად, კონკურსში გამარჯვებისათვის დასახულია 6 ძირითადი პირობა:

1. საბინაო ქირის შეგროვების გეგმებს შესრულება — დავალიანების ლიკვიდაცია, საბინაო ქირის სწორად გამოანგარიშება საცხოვრებელ ფართობთან შეფარდებით; საბინაო ამხანაგობის არაწევრთათვის ქირის განსაზღვრა კანონით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და სხ.

2. საბინაო კოოპერაციაში ახალ წევრობის მიღებისა და საპაიო გამოსაღების მთლიანად შეგროვება 1934 წლის 1 იანვრისათვის, კოოპერაციაში ოჯახის მარჩენალის გაოდაწერინება ჩაბმაც (ცოლი, სრულწლოვანი შვილი და სხ.) და დიფერენცირებული პაის დაწერება.

3. საბინაო ამხანაგობის მხრივ თავის ვალდებულებათა ზუსტად და დროულად შესრულება რაიბინკავშირების წინაშე — ანარიცხების გადარიცხვა, თანხების გამოყოფა კულტ. საყოფაცხოვრებო ფონდის გაზრდა და ძლიერებლად და სხ

4. ბინების რემონტი (ზრუნვა მასალების და მუშახელის მოსამარაგებლად) და რემონტის მაღალი ხარისხი (შუდმივი მეთვალყურეობა, რომ რემონტის ხარისხი გაუმჯობესდეს).

5. საბინაო ამხანაგობაში შემავალ სახლებსა და ეზოებში სანიტარული პირობების დაცვა, საერთო სარგებლობის ადგილების კეთილმოწყობა (სამრეცხაოები, დასაშენებელი კუთხეების მოწყობა ეზოებში და სხ.)

6. საორგანიზაციო - მასობრივი და პროპაგანდისტული ყოფაცხოვრებითი პირობებას გასაუმჯობესებლად მუშაობის სანიმუშო სამაღლეზე დაყენება — საყოფაცხოვრებო ხასიათის ორგანიზაციების მოწყობა (კულტკუთხეები, საბავშვო ბაგები, დედათა კუთხეები ოა სხ.) გამგეობისა და სარევიზიო კომისიების მუშაობაში გეგმაზომიერების შეტანა, საბინაო ამხანაგობის მუშაობაში გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი ხელისშემწყობი კომისიების დაარსება, მობინადრეთა შორის კლასობრივად უცხო ელემენტების გამომჟღავნება და მათი განდევნა საბინაო კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოებიდან, კედლის გაზეთის სისტემატიურად გამოცემის საქმის მოგვარება და სხ.

გარდა ამ ექვსი ძირითადი პირობისა, ცალკე საბინაო ამხანაგობის მუშობა შეფასებული იქნება იმ თვალსაზრისითაც, თუ რას აკეთებს იგი მომავალი საამშენებლო სეზონის შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი სახის ჯილდო: პირველი ჯილდო 10 საუკეთესო საბინაო ამხანაგობის სათვის — შინარემონტის უფასოდ ჩატარება საბინაო ამხანაგობის საუკეთესო აქტივისტების ბინებში და სახლების ეზოების დაგვანება. საუკეთესო საბინაო ამხანაგობის დანარჩენ მოწინავე აქტივისტებს მიეცემათ — საბინაო კოოპერაციის დამკვიდრების სიგელები. მეორე ჯილდო დაწესებულია 20 საბინაო ამხანაგობისათვის. აქ ჩატარებული იქნება ყველა ეზოების რადიოფიკაცია, ხოლო საუკეთესო აქტივისტების დასაჯილდოებლად მათ ბინებში დადგმული იქნება რადიო - მიმღები აპარატები.

მესამე ჯილდო დაწესებულია 30 საბინაო ამხანაგობისათვის. ამ საბინაო ამხანაგობიდან საუკეთესო აქტივისტებს მიეცემათ სრული ბიბლიოთეკა საბინაო საკვანძო კოოპერაციის საკითხებზე. გარდა ამისა, დარიგებული იქნება ლენინის და მარქსის ნაწარმოებთა კრებულები.

სხდომა ადგილობრივი გაზეთიც. იგი არ აუშვებს ერთთვიურის მიმდინარეობას და არ სტენს განგაშს ერთთვიურის ჩაშლის თავიდან ასაშორებლად.

ერთთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის აქტიურად იბრძვიან მხოლოდ კომკავშირული ორგანიზაციები. კომკავშირელების საშუალებით ცალკე კოლმეურნეობებში და სკოლებში დაწყებულია თანხების ნებაყოფლობითი შეგროვება.

ა. დოლიძე.

თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოებს უნდა ეძნეთ საკუთარი საკლანერო სადგურები

თ. ა. ლიუშკემბურგის რაისაბჭოს მაგალითი მისაბაძია

12 ნოემბერს ტფილისში გაიხსნა და ორი დღის შემდეგ მუშაობა დაამთავრა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს მეხუთე პლენუმმა. პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე თავდაცვა-ავიაქიმის ლიუშკემბურგის რაისაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. **ტარგანიანმა** შემოიტანა წინადადება — თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოებს დაეკალოთ თვითონვე იზრუნონ და საკუთარი ინიციატივით მოაწყონ სპეციალური სალანერო სადგურების მოწყობა. ამაკე დროს ამხ. ტარგანიანმა პლენუმს აცნობა, რომ თ-ა. ლიუშკემბურგის რაისაბჭომ ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მუშაობა.

მართლ ერთმა კოლმეურნეობამ — „ანფანგამა“ ლიუშკემბურგის სალანერო სადგურის მოსაწყობად **გადასდო 4.000 მანეთი.** „ანფანგის“ კოლმეურნეობა ამავე წესით გამოიწვია კოლმეურნეობათა შორის გადასადებად გამოიწვიეს კოლმეურნეობა „უნიონი“, რომელმაც თავის მხრივ უკვე გაიღო **2.500 მანეთი.**

თავის მხრივ თ-ა. ლიუშკემბურგის რაისაბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თავდაცვა - ავიაქიმის ყველა რაიონული საბჭო. შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება თ-ა. ის რაიონული საბჭო, რომელიც უკეთ და უფრო ადრე მოაწყობს საკუთარ სალანერო სადგურს.

პლენუმზე დამწყრე თ-ა. რაისაბჭოების წარმომადგენლებმა მიიღეს აღნიშნული გამოწვევა და იკისრეს ამ მიმართულებით თავიანთ ადგილებზე დაბრუნების ოან. ვე.

ნ. გეგენავა.

მარელისის ფაბრიკის მუშებმა გაიღეს 1600 მანეთი

ბორელისის გრებილა ავეჯეულობის ფაბრიკის მუშები აქტიურად ჩაებენ საქარ. ხე-ტყის მრეწველობის მუშათა სახელობის თავდაცვა-ავიაქიმის ფონდის შეგროვებაში. მუშათა საქარხნო შეკრებაზე დადგენილებით მორიგი დასასვენებელი დღე— 5 ოქტომბერი გამოცხადებულ იქნა „ხე-ტყეზე მომუშავეთა თავდაცვა-ავიაქიმის დღედ“. ამ დღეს მუშები გამოვიდნენ სამუშაოდ და მთელი შემოსავალი—1.600 მანეთი გადასდეს. აღნიშნული თავდაცვა-ავიაქიმის ასაგები ფონდის გასაძლიერებლად.

მარელისის გრებილა ავეჯეულობის ფაბრიკის მუშებმა „ხე-ტყეზე მომუშავეთა თავდაცვა-ავიაქიმის“ ასაგები ფონდის გაძლიერებისათვის თანხების შესაგროვებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბორჯომის და ახალციხის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები.

ბორჯომისა და ახალციხის მუშებისაგან პასუხი ჯერ მიღებული არ არის. მარელისის მუშები მოელიან მათ პასუხს.

დ. გვათუა.

სამოქალაქო ავიაციის ერთთვიურზე ზრუნვა შეანელეს

სეწაკის რაისაბჭომ ჯერ კიდევ 6 ოქტომბერს გადაწყვიტა აქტიურად ჩაბმოდეყო სამოქალაქო ავიაციის ერთთვიურის ჩატარებაში და საერთოდ მიეღო ზომები აღნიშნული ერთთვიურის გაჯანსაღებით. ჩატარებისათვის. დადგენილება მიიღეს, რაიონში მომუშავე საბჭოთა ორგანიზაციებს დავალებები მისცეს, მაგრამ საქმე მაინც არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. არც თანხების ნებაყოფლობით შეგროვება და არც სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამოქალაქო ავიაციის მნიშვნელობის შესახებ თავიდანვე დაწყებული არ ყოფილა.

სხდომა ადგილობრივი გაზეთიც. იგი არ აუშვებს ერთთვიურის მიმდინარეობას და არ სტენს განგაშს ერთთვიურის ჩაშლის თავიდან ასაშორებლად.

ერთთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის აქტიურად იბრძვიან მხოლოდ კომკავშირული ორგანიზაციები. კომკავშირელების საშუალებით ცალკე კოლმეურნეობებში და სკოლებში დაწყებულია თანხების ნებაყოფლობითი შეგროვება.

ა. დოლიძე.

მარგანეცი

18 ნოემბერს მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 95,3 პროც., გარეცხვის — 81,8 პროც.

	ამოღება (ტონობ.)			გარეცხვა (ტონობ.)		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	4.284	4.084	95,3	2.084	1.706	81,8

რედაქციისაგან. 18 ნოემბერს ცალკე ჭარხანა - მაღაროების მ-ხედვით გეგმის შესრულების ცნობები არ მოგვიღია.

ქვანახშირი

20 ნოემბერს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 73,6 პროც.

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
სულ	1.280	942	73,6
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	520	401	77
სტალინის უბანი . .	760	581	71

ტფილისის გოტანიკური ბაღის გაფართოება

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, ტფილისის ბოტანიკური ბაღი გადაეცა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ა.-კ. ფილიალის საქართველოს განყოფილებას.

ამჟამად აკადემიის საქართველოს განყოფილებამ გააჩალა სამეცნიერო მუშაობა; იგი შეუდგა მეცნიერული ხელმძღვანელობის გამოცემას, გერბარიუმების რეკონსტრუქციას, ლაბორატორიების მოწყობას და სხვ. ამ მიზნისათვის საქართველოს განყოფილებას საკავშირო სამეცნიერო აკადემიამ საქართველოს განყოფილებას გადასცა 40 ათასი მანეთი.

ამჟამად ბოტანიკურ ბაღში ტარდება საჭირო საშემდგომო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ცოცხალი ფლორის განყოფილების და სასათბურე ნარგავების ზამთრისათვის მომზადებასთან.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოარტა ნა გადაწყვეტილება ბაღის ტერიტორიის გა ფართობის შესახებ, რაც ჩატარდება ახლო მდებარე ნაკვეთების შეერთების გზით. ბაღს შეუერთდება მუსლიმანთა სასაფლაოს მოედანი და ის ა.კ. კობახიძე ოჯახობით, ვ. ლილუა, გ. ლილუა და ქ. კობახიძე უორმესი მწუხარებით იუწყებიან მათი საყვარელი, იმ. ქნერი

გიორგი თადეოზის-ძე კეშელავას

უდროოდ გარდაცვალებას. 462

ახლო ნათესავები: ი. ლილუა, ა. ნიკოლაიშვილი, ლ. კობახიძე ოჯახობით, ვ. ლილუა, გ. ლილუა და ქ. კობახიძე უორმესი მწუხარებით იუწყებიან მათი საყვარელი, იმ. ქნერი

გიორგი თადეოზის-ძე კეშელავას

უდროოდ გარდაცვალებას. 462

ღრმად დამწუხრებული მამა ბესარიონი, დედა კატო, დები ნინა და ლიდა იუწყებიან, რომ 24 ნოემბრის დიდი ეკუმენური სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფას

გრიშა ტრიგოლ ხვიჩიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 483

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს მხატვარ პროფესორ დავით კაკაბაძის დედის

ეღუკი ივანეს-ასული კაკაბაძის

გარდაცვალების გამო. 464

საქ. ძსუბუქ მრეწველობის სამეცნიერო-ქვ სპეციტეტ. ინსტიტუტის თანამშრომლები, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ინსტიტუტის ინჟენერ ტექნოლოგ ალექსი დევდარიანის მამის

ს ვ ი რ ი დ ო ნ ი ს

გარდაცვალების გამო. 471

გულმოკლული მშობლები მარგალიტა და აკაკი შვილით ავთანდილ ჩხეიძეებით იუწყებიან, რომ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ც ი ა ლ ა ს

ხსოვნის აღსანიშნავად 24 ნოემბერს 3 ს. ვერის სასაფლაოზე. 470

უახლოესი მეგობრები მარკო ჯავაშვილი, ე მაქლაძე, ნ. დადეშკელიანი, ნ. მერაბიშვილი, ქ. მაჭავარიანი, ვ. ძაგანიძე იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს სოფ. პატარძეულში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ამხ. ვარიას საყვარელ დედის

მარიამ ივანეს ას. ფიცხელაურის

ხსოვნის აღსანიშნავად. 469

მწუხარებაში მყოფნი: დედამთილი პუპი, ძაზლები: ვალიკო ცოლშვილითა, ჭიპკოო, მიხა, მულები: ანიჩქა, ნინა, ქმარშვილითა, და მარო იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 1 ს. ქ. სამტრედიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

შურა ნადირაძე-ხუბუას

ხსოვნის აღსანიშნავად 474

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე გალაქტიონ, დედა ერბუსტარ, დაი ვადასი იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 1 ს სამტრედიაში ქობულეთის ქ. № 53 დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას, სა ყვარელ

შურა ნადირაძე-ხუბუას

ხსოვნის აღსანიშნავად. 474

კარტიული და საბჭოთა კანენდარი

24 ნოემბერს დილის სრულ 10 საათზე ტფილისის კომიტ. საორგ. განყოფილების გამგის ამხ. კოკლამაზაშვილის კაბინეტში (ოთახი № 45) **მოხმენილი იქნება ამხ. მაჭავარიანის ინფორმაცია მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციების ორგპარტმაშობრივი მუშაობის გამოცდილების გამოტანის შესახებ.** ქვემოთ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: რაჟკომის საორგ. განყოფილების გამგეები— ახალციხე, ზესტაფონი, სარქინოვი, პანკრირნაია, 26-ის ქარხანა—იოსებოვი, ხოკრიშვილი, კალინინის ქარხანა,—მანკოვი, ორჯონიკიძის სახ. ქარხანა—ჩერნიკოვი, მექანიკური კონსტრ. ქარხანა—ლეონინი, ავეჯეულობის ფაბრიკა—ლაშუსკი, დოლიაშვილი, „ზარია ვოსტოკა“—კისლუხინი, სახბანკო,—ქანთარია, სახ. უნივერსიტეტი მინდაძე, „პოპულის“ სტამბა—შენგელია, მაუდის ფაბრიკა — ლუკაშაბაია, სახკინმრეწვი—კონტრიძე, თამბაქოს 1-ლი ფაბრიკა—ალხაზიშვილი, მეკირტუმოვი, თამბაქოს მეორე ფაბრიკა, ხიდნაგიშვილი, ტფ. საბჭო—ახობაძე, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა—უჯრედის მდივანი ამხ. წერეთელი, პოლიტსამმართველო — წილოსანი, ავტოსახელოსნოები — მარკონი, ტრამვაი—ბაისკი, აბრეშუმის ხაჭოები ფაბრიკა—

ტფილისის საბჭოს საფინანსო

აცხადებს დაწესებულება-წარმოებების საყურადღებოთ, რომ 21 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე საფინანსო ტფილისის საბჭოს წევრებისაგან გაძოყოფილი ბრიგადების საშვალებით ჩაატარებს ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადების (საშემოსავლო, კულტურული, ბრუნვიდან გადასახადის, საბიუჯეტო წახადების და სხვა) და აგრეთვე სახელმწ. სესხების ანარიცხების დროულად გაძოსახგარიშების, დაკავების და სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად გადარიცხვის შემოწმების.

ამისათვის საფინანსო ავალებს წარმოება-დაწესებულებების მთავარ ბუხჰალტრებს აღნიშნულ დროის განმავლობაში იყვნენ ადგილებზე საღამოს **7-დან 10 საათამდე** ბრიგადებზე ამომწურავი ცნობების გასაცემად.

წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები და მთავარი ბუხჰალტრები მოთხოვნილი ცნობების გაუცხადებლობისათვის და არა სწორი ცნობების გაცემისათვის დაჯარიმებული იქნებიან პირსონალურად საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

ნ. 488 **ს ა ფ ი ნ ა ნ ს ი.**

სპ ო ე რ ა

დ ღ ი
აბო გარეშე
სამსონ და დალილა
(აბონ. ციკლში არ შედის)

23 ნოემბერს
6 აბონ. 5 წარ.
გოგუჯინის ზღაპრები

24 ნოემბერს
აბონემ გარეშე
საკონცერტო დღილა

აბონემენტების მფლობელთა საყურადღებოდ
იმ აბონენტები. ორმლებაც არ იქნებათ ჯადაბეჭდილი მოწიგი (მეოთხე) შესატანი ერთი დღით ადრე თავის წარკოდგენამდე ჭარხანის წარმოდგენაზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 478

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ბ ა ნ ე ლ ო ბ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს თ ე ა ტ რ ი

22 ნოემბერს
14 აბონ. 2 წარ
ურიელ აკოსტა

23 ნოემბერს
7 აბონ. 2 წარ
როგორ

24 ნოემბერს
აბონ გარეშე
მზის დაბნელება საქართ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—12 ს. საღამოს 6 ს.—10 ს დეკემბრიდან 1 რიცხვამდე აბონენტებისა ბილეთი დაფარული უნდა იქნეს მე-3 გადასახადი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ი ნ ო - თ ე ა ტ რ ე ბ ი

ოქტომბერი—სხოვანი
6 30 8-30 10-30

ღ ა ქ ა ქ ა რ თ ე ლ ი
ა, 7-30, 9, 10-30.

თ ე ძ ე ბ ი
ა, 7-30, 9, 10-30

ს. ლიუძსემბურგის სმ.
1) ვიცნობოროთ შეძლებულათ, 2) საბჭ. ხელოვნ № 5, 3) სმ ყურ № 8, 4) ორი ბიჭის შეხვედრა, 5) 100.000 მაიკა.

ა ქ ა ო ე ა ა ი
ა, 7-30, 9, 10-30

ჭიაო ილიჩის კომედიაში
რა ცა ილვიძებენ მკვდრები

ჭიაო ილიჩის სახლობის
ავლაბარში 7, 8 0. 10

ამერიკული ტრაგედიის ხალამო
პრ. გარ.—სტრატო ფეროში გაფრენა

ძაძანიძისა და ტაძნიაა

ჩვენ ვნახეთ ევროპის ხახე

ხაბაბაძის ციო
ლის ქ. ათათ

ძხატვრული ხარავშვო ფილმი
მამებთან ერთად

ი ლ ი ა ნ ი ს ტ ბ ა ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს თ ე ა ტ რ ი

22 ნოემბერს
8 აბონ. 2 წარ.
ზაგმუკ

23 ნოემბერს
9 აბ. 2 წარ.
ზაგმუკ

24 ნოემბერს
10 აბონ. 2 წარ
ზაგმუკ

20 ნოემბრიდან მე-3-ძე გადასახადი ივალებულია შეტანილი უნდა იქნეს თეატრის სალაროში დღის 11 საათიდან 2 საათამდის.
ალაროო ღიაა 11—ა. ი—9 ს.-დ. დასაწყისი 8 ს.

თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 4 ნოემბრის დადგენილებისა და დებულებისა სახელმწიფო საძრეწველო ტრესტების (კანონთა კრებული ს. ს. რ. კ № 39 მ. 392 1927 წლის 29 ივნისის თარიღით) მძიმე მრეწველობის კომისარიატის რწმუნებულების სისტემაში

საქ. სახ. კომისართა საბჭოსთან 1-ლ ნოემბრიდან დაარსებულია

საფაბრიკო-საქარხნო სამრეწველო მშენებლობის ტრესტი

„საქქარხმშენი“,

რომელიც რეესტრ-ქმნილია საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში რეესტრით „ა“ № 34—101 16 ნოემბრის თარიღით.

**ტრესტის ამოცან